№ 2811
ოთხშაბათი,
4 მაისი

ცნობის ფურცელი

ოთხშაბათი,
4 მაისი

[illegible]: წელიწადში—6 მ., „თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის ქუჩა, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კომპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 37.

ყოველ-დღიური
გაზეთი „ცნობის ფურცელი" ადგილობრივ და გაგზავნით ღირს: 1 წლით 6 მან., 11 თვით 5 მან. 75 კაპ. 10 თვით 5 მან. 20 კაპ., 9 თვით 5 მ., 8 თვით 4 მ. 50 კაპ., 7 თვით 4 მან. 6 თვით 3 მ. 50 კ., 5 თვით 3 მან., 4 თვით 2 მ. 60 კ., 3 თვით 2 მან., 2 თვით 1 მ. 50 კ. ხელის მოწერა მიიღება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. გაზეთის გაწერა ერთ თვეზე ნაკლებ არ შეიძლება და არა მეტი წლის ბოლომდის.

ხელის მომწერთ, რომელთაცა ჰსურთ რაიმე ცნობა მიიღონ კანტორიდან ხელის მოწერის შესახებ ან ფულს გზავნიან რედაქციაში, ან ადრესს იცვლიან, „ცნობის-ფურცლის" კანტორა უმორჩილესად სთხოვთ მათ **გამოუგზავნონ ბანდეროლი ან მოიწერონ ის ნომერი, რომელიც ადრესზეა დაბეჭდილი.**

როცა ვინმე იწერება ადრესის გამოცვლას, მასთანვე ძველი ადრესი და გამოსაცვლელი 40 კაპ. უნდა გამოუგზავნოს რედაქციას. ადრესის გამოსაცვლელი 40 კაპ. შეიძლება ფოსტის მარკებით გამოგზავნოს.

ცალკე ნომერი გაზეთისა ყოველგან ღირს 3 **კაპ. სურათებიანის დამატებით**—5 **კაპ.**

ორშაბათს, 9 მაისს, საარტისტო საზოგადოების თეატრში წარმოდგენილი იქნება
პირველად ქართულ ენაზე

სევილიელი დალაქი

ოპერა როსინისა, თარგმანი გუნიასი.

სეზონის უკანასკნელი ტანისამოსი
მოსდის ყოველ-კვირა
ძმ. აკოფჯანოვების და სარქისიანცის
შეკერილ ტანისამოსის პირველ კავკასიის ამხანაგობის საფაბრიკო დეპოს.
ნიკოლოოზის ხიდი, №№ 25—30.

ვურჩევთ

ადგილობრივ და სხვა ქალაქიდან ჩამოსულ მყიდველებს ჩვენის და სხვის სახელოსნოებში ინგლისურ და ფრანგულ ჟურნალებზე დამზადებულ უკანასკნელ ფასონის ტანისამოსს, მანდილოსნის ზედა ტანისამოსს, კაცის და ბავშვის ტანისამოსს და ყოველგვარ პალტოს, რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფაბრიკებში დამზადებულს. ფასი ხელ-საყრელია.

შეუვაჭრებლად

სახაზინო თეატრი [illegible], 8 მაისს
[illegible]-მესხიშვილი ქართველ არტისტების მონაწილეობით გამართავს წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესა

I
[illegible] კეთილისმყოფი
პიესა 3 მოქმედებად ფილიპპისა, თარგ. ვ. გუნიასი.

II
არც აქეთ, არც იქით
ვოდევილი 1 მოქმედებად ვ. გუნიასი.

მონაწილეობას იღებენ: ბ-ნნი **ტასო აბაშიძე, დავითაშვილი, ჯავახიშვილი, ნ. საფაროვი;** ბ-ნნი **ვ. აბაშიძე, ალექსი-მესხიშვილი, გუნია, შათირიშვილი, შალიკაშვილი, ივანიძე, იმედაშვილი, გვარაძე, იორდანიშვილი** და სხვა.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
დასაწყისი 8 საათზე.

იყიდება

ძლიერ იაფად: რკინის კრაოტები, სტოლები, ბუფეტის და ტანისამოსის შკაფები, შკაფი საქირურგო იარაღისათვის, სკამები, სკამები ვენის, მატრასები, ლეიბები მატყლის, ბალიშები, სავარძელი კბილის საექიმო და ავადმყოფის სატარებელი, საათი, ლამპები, [illegible], ხალიჩები, [illegible] ქვა-ნახშირისათვის, სარკე, ტანისამოსის ჩამოსაკიდებელი, მიკროსკოპი, სტერილიზატორი, სხვა და სხვა საქირურგო იარაღები, ტახტები, ელექტრონის მაშინები და მრავალი სხვა ოჯახისთვის სასარგებლო ავეჯეულობა. ველიკოკნიაჟსკის ქუჩა, მეცხრე სახლი კუკიის ხიდიდან.

იმერეთის სამღვდელოების
სანთლის საწყობი

ამით აცხადებს, რომ საჭიროა გამგე ამ საწყობისა. გამგედ უნდა იყოს უმრევლო მღვდელი, რომელსაც დაევალება: 1) საწყობში მზა-მზარეულ სანთლის მიღება და გაყიდვა, 2) წარმოება სანთლის საწყობთან არსებულ საეკლესიო ნივთების საწყობისაც, თუ ის უკანასკნელი არ გადავიდა კერძო მოიჯარადრის ხელში, 3) ვაჭრობის წარმოება სხვა სავაჭრო დაწესებულებათა შემსგავსებით, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ის უნდა ვაჭრობდეს კვირა-უქმეებშიაც, დილით, რვა საათიდან თორმეტამდის, 4) სამსახური ამ საწყობში არა ნაკლებ ორი წლისა და 5) წარმოდგენა არა ნაკლებ ორი ათას მანეთად ღირებულ გირაოსი.

გამგეს მიეცემა წელიწადში შვიდასი (700) მანეთი და საეკლესიო ნივთთა საწყობის წმიდა მოგებიდან ათი პროცენტი (10%). მსურველთ შეუძლიათ მიმართონ თხოვნით ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოზს. (10—5კ.—1).

ღ. ყვირილა

15 მაისს, შუადღის 12 საათზე, თეატრი-შენობაში დანიშნულია **ყვირილის სამარხ კასის წევრთა საზოგადო კრება.** განსახილველია 1) დამტკიცება წლიური ანგარიშისა; 2) მოხსენებანი გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა; 3) არჩევნები სარევიზიო კომისიისა, ერთის გამგეობის წევრისა და მათის ნაცვლებისა. (3—5.—1)

რესტორანი
„ფუნიკულერი".
სადილი 4 ბლუდი 1 მან.
სადილი 4 მაისთვის 1 ს.—5 საათ.:
1. შჩი მოლოროსიული.
2. რიზატო იტალიანური.
3. შტუფატი—სოუზ პოკრატითი.
4. მასკოვიკი მალინიისა.

პატრონი **ნ. ჩიკვაიძე.**

ქუთაისის ქალთა პროგიმნაზია (მთავრობისა) ამით აცხადებს, რომ **მისაღები ეგზამენები** პირველ კლასში მოხდება 11, 12 და 13 მაისს; ხოლო მოსამზადებელ, მეორე და ახლად გახსნილ მესამე კლასში—16, 17, 18 და 19 მაისს. (3—5.—1)

ექიმი
გ. ა. გედალინი

მადათოვის ქუჩა, № 15, ალექსანდრეს ბაღის ეკლესიის პირდაპირ.

ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილით 8-დან 9 საათამდე და საღამოთი 5-დან—8 საათამდე. (30 5.—2)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი სვანიშვილისა № 11.

კბილის ექიმი
ივანე კ. ახალშენიშვილი

ბინადა: ნიკოლოოზისა (№ 32) და ხიდი- (№ 21) [illegible] ლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდი.

კბილის ექიმი
ე. ი. ბალარჯიშვილი

იღებს ავადმყოფებს 10—8 საათამდე და 5—7 **მიხეილის ქუჩა № 115.** გერმანელთა ტაძრის გვერდით. (80—278—23)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

2 მაისი

ტოკიო. პროგრესიულ პარტიათა წარმომადგენელთ ლაპარაკი ჰქონდათ გარეშე საქმეთა სამინისტროს წევრებთან და განუცხადეს, რომ ამისთანა დროს მათ არ შეუძლიანთ გაჩუმებული იყვნენ. ამაზე პასუხად მინისტრის ამხანაგმა საფრანგეთის პასუხი წაუკითხა და დასძინა: „ჩვენ ვფიქრობთ, რომ საფრანგეთი მომავალში სასტიკად დაიცავს ნეიტრალიტეტს. ბრიტანიის მთავრობა ძლიერ გვეხმარება ჩვენ და ასრულებს ყველა ვალდებულებას, რაც კი კავშირმა დააკისრა მას. ამისთვის ჩვენ ვერ ვეთანხმებით იმ აზრს, რომ საფრანგეთი მებრძოლთ მხარეების რიგში ჩამდგარიყოს"-ო. ამის შემდეგ დეპუტაცია პირველ მინისტრთან წავიდა. ბოლოს დეპუტატებმა განაცხადეს, რომ ისინი სრულიად კმაყოფილნი არიან იაპონიის მთავრობის მოქმედებით. უმაღლეს წრეებში ჰფიქრობენ, რომ კრიზისი გათავდა, მაგრამ იაპონიის ხალხი არ გაუშვებს, რომ ამგვარი ინციდენტი კიდევ განმეორდეს როდისმე.

ვაშინგტონი, 1 მაისი. თუმცა აქ ძლიერ სასტიკად არ უცქერიან საფრანგეთის მეგობრობას რუსეთისადმი, მაგრამ იმის თქმაც არ შეიძლება, რომ საფრანგეთისაგან წარდგენილი განმარტება დაბეჯითებით არწმუნებდეს ვისმე. საფრანგეთმა თავის მოხელეებს შორეულ-აღმოსავლეთში მხოლოდ მაშინ გაუგზავნა ინსტრუქციები, როცა იაპონიამ უკვე განაცხადა პროტესტი და მაშინაც არ იქნა ასრულებული ეს ბრძანება, როგორც რიგი და წესი იყო, ისე. ამერიკელ მეზღვაურთა აზრით, როჟესტვენსკი ვერ მიაღწევდა ჩინეთის ზღვას, მას რომ ფრანგები არ დახმარებოდნენ. ამ ფაქტს საკმაოდ ვერ ხსნიან ფრანგებიო.

პარიზი. გაზეთ „ნიუ-იორკ-ჰერალდ"-მა გამოაქვეყნა სეულიდან დეპეშა, იაპონელებმა ახლა-ხან 30 ათასი კაცი გადმოსხეს გენზანშიო. პუჩანში, ხამხინზის ჩრდილოეთით, გადმოზიდეს აურებელი სამხედრო სურსათი. ეს ვლადივოსტოკისაკენ გალაშქრებას მოასწავებს.

ბერლინი. „ფრანკფურტერ ცაიტუნგ"-ის ტოკიოელი კორესპონდენტი იუწყება, იაპონელები ჩუმათ აშენებენ რკინის გზას ტოკიოსა და კობეს შორისო; რკინის გზა ხმელეთის შუაგულში გაჰყავთ, რადგან ზღვის პირის გზას შეიძლება ზღვიდან დაეცნენ. აქედან ის დასკვნა გამოჰყავს კორესპონდენტს, რომ იაპონელებს ბალტიის ესკადრის იმაზე მეტად ეშინიათ, რასაც თვითონ ამბობენო.

კოპენჰაგენი. შვეციაში ძლიერ მღელვარებაა ნორვეგიის სესხის გამო; ჰფიქრობენ, ეს სესხი შვეციასთან ომისთვის არის აღებულიო. შვეციის პარლამენტის ცნობილმა წევრმა სთქვა, ნორვეგიას 70 მილიონი კრონი აქვს განსაკუთრებით შვეციის წინააღმდეგ ბრძოლისთვისო. „ნორვეგია,—დასძინა მან,—როგორც ეტყობა, ომს აპირებს, მაგრამ, უეჭველია, შვეციის მთავრობა ყოველს ღონისძიებას იხმარს, რათა თავიდან აიშოროს კონფლიქტი"-ო.

სოფია. მთავრობას ცნობა მოუვიდა. ბულგარეთის გიმნაზიის დირექტორი ჩენგელოვი სალონიკში სეროზულად დასჭრა ბერძენმა დანითო.

მოსკოვი [illegible] კაცმა ხელად დაიყვირა; „ჩვენა გვცემენ; ჩვენც გვცემონ"-ო, დაერივნენ ხალხს და დაუწყეს რთმევა ძვირფასეულობისა. ალბათ, ის ქალი და კაცი ქურდების ბრბოს ეკუთვნოდნენ.

3 მაისი

არიოლი, 2 მაისი. სად. კურსკიოსა და ბრეგვას შუა, მოსკოვო-კურსკის რკინის გზაზე, დაიმსხვრა საქონლის მატარებელი. დამტვრეულია 7 ვაგონი და დაზიანებული 4. გზა დაბრკოლდა. კაცთაგან არავინ დაშავებულა.

ბაქო. დღეს, ნობელის გარდა, ყველა ქარხნებში მუშაობაა. ხვალ გაზეთები გამოვა.

ნიუ-იორკი. მანილიდან დეპეშით იუწყებიან, რომ გენერალმა ვუდმა ორი კვირის ლაშქრობის შემდეგ გაანადგურა მეამბოხეთა მთელი რიცხვის ნახევარი. დარჩენილი 300 [illegible] ტყეს, მაგრამ ისინი არ დანებდნენ მტერს. ამერიკელებმა დაჰკარგეს 7 კაცი მოკლული და 17 დაჭრილი.

მოსკოვი. ქალაქის საბჭოს მცირე მოხელეები საერთო არზას აძლევენ ქალაქის მოურავს, ათას კაცისაგან ხელმოწერილს, იმის შესახებ, რომ ნება მისცენ შეიკრებნენ მუშათა ორგანიზაციის, უფლებრივ მდგომარეობის და მატერიალურ საჭიროების შესახებ მოსალაპარაკებლად. არტისტმა თავადმა სუმბათაშვილმა წინადადებით მიმართა სალიტერატურო სამხატვრო წრეს გამართონ სამაგალითო ლიტერატურულ-დრამატიული თეატრ-სკოლა და გამოსცენ გაზეთი.

კამიშინი. მუშებმა 1 მაისს ქალაქს გარედ მოიყარეს თავი და შემდეგ გაიფიცნენ, უმთავრესად ხე-ტყის სახერხ ქარხნებში. თხოულობენ ქირის მომატებას. პატრონებთან მოლაპარაკებაა გამართული.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"

2 მაისი

ტოკიო, 2 მაისი. (რეიტ.). აქ დანამდვილებით იციან, რომ რუსის ესკადრა გავიდა 25 აპრილს ხონკოეს ბუხტიდან და ისევ დაბრუნდა უკან. ამ ჟამად იგი ხონკოეს ბუხტაში დგას ღუზაზე.

სინგაპური, 2 მაისი. ორთქლ-მავალი გემი „იაზონ"-ი იუწყება, ვარალლეს კონცხთან რუსის 13 სამხედრო გემი დავინახე 29 აპრილსო.

გონჭიადანი, 2 მაისი. მონგოლიის საზღვარზე ქალაქი ჯენძიატუნი დაიჭირა ხუნხუზების 7 ათასიანმა რაზმმა. მარცხენა ფრთის კავალერიას გამუდმებული შეტაკება აქვს ხუნხუზებთან, რომელთაც იაპონელები მეთაურობენ. 28 აპრილს ჩვენის კავალერიის რაზმმა შეავიწროვა იაპონელთ მოდარაჯე და მზვერავი რაზმები, თოფები დაუშინა მოდენილ ქვეითებს და მერე უკან დაიხია.

პეტერბურგი, 2 მაისი. ლინევიჩის უქვეშევრდომილესი დეპეშა, 30 აპრილის თარიღით; 1): „ერთმა ჩვენმა რაზმმა წინ გაილაშქრა შიმოიაცზე და დღის 12 საათზე შეებრძოლა მტერს; მეორე რაზმს-კი, რომელიც ნანშანჩენცზისა და კშიმიაოტცისკენ მიდიოდა, მტერმა სროლა აუტეხა. შეიქნა ბრძოლა. შუადღისას იაპონელებმა არტილერია მოიშველიეს. ჩვენმა ჯარებმა დაზვერეს იქაურობა და უკან წამოვიდნენ". 2), პირველ მაისის თარიღით: „19 აპრილს აღმოსავლეთის ერდაგოუსკენ გაიგზავნა რაზმი ესაულ შერბაკის მეთაურობით, შერბაკს გარს შემოუარა მტრის 700-ანმა რაზმმა და იგი იძულებული გახდა ლიუდიაგოუსკენ დაეხია, მაგრამ მას მიეშველა ესაული ტი- [illegible] ერდაგოუდან და დაქსაქსულად დაახევინეს უკან სამხრეთ-დასავლეთისკენ.

ჩიფუ, 2 მაისი. ნიუ-ჩუანიდან მოსულმა ორთქლ-მავალმა გემმა აუწყა, პეჩილიის ყურეში „შეიცუმარუ"-სთან ერთად ჩაიძირა იაპონელთ მეორე ტრანსპორტი, რომელიც ნაღმს წააწყდაო.

ტოკიო, 2 მაისი (რეიტ.). მთავრობამ აკრძალა საიგონიდან ნახშირის გაზიდვა. გემებს არ აქვთ ნება გავიდნენ იაპონიის პორტებიდან, სანამ რუსები ინდოეთ-ჩინეთის წყლებში იმყოფებიან.

პეტერბურგი, 2 მაისი. ჩვენ გავიგონეთ, რომ გერმანიის საელჩომ აცნობა რუსის მთავრობას, ვილჰელმის სიტყვის ტექსტი, რომელიც დაიბეჭდა გერმანიის რამდენსამე გაზეთში, არ ყოფილა სწორი; ის ზოგან დაუმახინჯებიათ, ზოგან კიდევ თავისი ჩაუმატებიათ. 5 მაისს გაიმართება იმ კომისიის პირველი სხდომა, რომელიც გაძლიერებულ დაცვის შესახებაა მოწვეული. დღეს გაიხსნა საქალაქო საკრედიტო საზოგადოებათა წარმომადგენლების სიეზდი.

პეტერბურგი, 2 მაისი. ზოგიერთ ადგილებში სცადეს წესიერების დარღვევა; [illegible] ადგილებში იყო: ვასილიევის [illegible] პროსპექტზე, მეექვსე და მეშვიდე ლინიებს შორის, შეიკრიბა ორი ჯგუფი სხვადასხვა ჰპირთა, უმეტესად ებრაელები, ასე 40—ასამდე კაცი და სარევოლიუციო სიმღერების მღერას შეეცადა. დაიჭირეს 14 კაცი, მათში 6 ებრაელი-ქალი და 4 ებრაელი-ვაჟი; ფერისცვალების სასაფლაოზე 400-მა კაცმა მოიყარა თავი, იყო მოსწავლე ახალგაზრდობა უმეტესად ებრაელები. დაიჭირეს 12 კაცი, მათში 5 ებრაელი—ქალი და ებრაელი ვაჟი.

პარიზი, 2 მაისი. მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა ბერლინში დეპუტაცია გაგზავნოს კრონ-პრინცის ქორწილზე დასასწრებლად; ამისთვის მან მიითხოვა გადაიდოს პრესანსეს შეკითხვა [illegible].

სიმფეროპოლი, 2 მაისი. საეჭვო ვაჭრობით გაიყიდა კერჩის სალითონო ქარხანა, დაფასებულ 17 მილიონ მანეთად. ეს ქარხანა შეიძინეს ბრიანსკის ქარხნებმა 60 ათას მანეთად.

როსტოვი-დონზე, 2 მაისი. კავკასიის ნამესტნიკს ნახიჩევანში მიეგება სომხების დეპუტაცია ქალაქის თავმა პურ-მარილი მიართვა. ნამესტნიკმა უთხრა დეპუტაციას, კავკასიის ყველა ერებს ერთნაირი უფლებები ექნებათ და საზოგადოებრივი ძალები დამეხმარონ წესიერების აღსადგენათო. ნამესტნიკის მეუღლეს ყვავილები მიართვეს.

მოსკოვი, 2 მაისი. დილის 4 საათზე „აკვარიუმ"-ის ბაღში ძლიერი აფეთქება მოხდა.

პეტერბურგი, 2 მაისი. გამოქვეყნდა უმაღლესი ბრძანება სახელმწიფო ხაზინის მოკლევადიან ვალდებულობის ქაღალდების შესახებ; მათი ფასი არ უნდა აღემატებოდეს 200 მილიონ მანეთს; ამ ჟამადინ უკვე განაღდდა 150 მილიონი 124 მილიონ მარკად.

ჟურნალ გაზეთებიდან

სად არის ტოგოს ესკადრა? ამ ჟამად ყველას მეტად ეინტერესება გაგება იმისი, თუ სად იმყოფება ადმირალი ტოგო. მაგრამ დანამდვილებით ვერავინ რა იცის. ახლა რომიდან ერთს გერმანულს გაზეთსა სწერენ, რომ გარდა ზოგიერთ გემისა, როჟესტვენსკის ესკადრას რომ უთვალთვალებენ, მთავარი ძალა ვლადივოსტოკის წყლებშია. აქ ტოგოს ესკადრა იაპონიის სახმელეთო ჯარს ხელს უწყობს და ეხმარება ვლადივოსტოკის აღების საქმეშიო. („ნოვ.").

სახალინის ასაღებად. „ველკი დისპაჩ"-ს ტიანძინიდან სწერენ: „ნამდვილ წყაროებიდან გავიგეთ, რომ იაპონელთ განზრახვა აქვსთ მაისის შუა რიცხვებში თავს დაეცნენ კუნძულ სახალინს. მის ასაღებად ეყოლებათ ორი დივიზია გენერლების ხარაგუშისა და ტაკანუჩის წინამძღოლობით. ამათის შტაბის უფროსად იქნება პოლკოვნიკი კორცუმი. აღნიშნული ჯარი, როგორც ხმა დადის, უკვე ხიროსაკში იმყოფებაო. („ნოვ.").

საქმის ვითარება შორეულ აღმოსავლეთში. ინგლისურ გაზეთის „მორნ. პოსტს." იაპონელი კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ მანჯურიაში იაპონიის ჯარის მოძრაობის შესახებ ცნობები ყოვლადის იდუმალებით იყო დაფარული, მაგრამ ახლა თან-და-თან ირკვევა. გენერალ კავამურას კოლონა ამ ჟამად გირინის მახლობლად არის [illegible] შეაჩეროს ეს კოლონა რკინის გზის გასწვრივ, მაგრამ ამავე დროს მარშალ ოიამას ჯარის აღმოსავლეთი ნაწილებიც უახლოვდებიან და აბა სწორედ ეს ნაწილები ჩააყენებენ რუსებს ცუდს დღეში. კორეის მხრიდან რუსებმა ჯერ სამხრეთისაკენ დაიხიეს, რომ იაპონელთათვის ვლადივოსტოკისაკენ წამოსვლა დაეშალათ. მაგრამ მერე დარწმუნდნენ, რომ მათს წინ ათას კაცისაგან შემდგარი ჯარი იწვევდა გენერალ ხასეგავას მეთაურობით. გენერალი ხასეგავა, უეჭველია, რუსების ჯარს უკან დაახევინებს და შეაჩერებს, და ამასობაში გენერალი კავამურაც გირინსა და ვლადივოსტოკს შუა მოექცევა, ოიამოს გზის ჩრდილოეთით. ოიამას ჯარებმა ძალიან წაიწიეს აღმოსავლეთისაკენ. ახლა მოსალოდნელია, რომ სერიოზული ბრძოლა მალე, სულ მალე მოხდება, შეიძლება ამ ერთ კვირაშიაც მოხდეს, თუ იაპონელებმა თავიანთი გეგმა როგორც უნდოდათ, ისე აასრულეს. პეტერბურგში ეშინიათ, ვაი თუ ვლადივოსტოკი იაპონელებმა იმაზე ადრე მოსჭრან, სანამ ადმირალი როჟესტვენსკი ამ პორტში თვისის ფლოტის მიყვანას მის[illegible] („რუს.").

წარმომადგენლების არჩევნები

II*)

როგორი იქნება მომავალი დამფუძნებელი კრება რუსეთში,—ეს დამოკიდებულია იმაზე, გამართლდება თუ არა რუსეთის მოწინავე ელემენტების მოლოდინი და მოთხოვნა. თუ დამფუძნებელი კრება ბიუროკრატიულის წესით იქნება მოწვეული, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ არ იქნება უზრუნველყოფილი ნამდვილი სახალხო წარმომადგენლობა. მაშინ ბურთი და მოედანი დარჩება მიწათ-მფლობელობისა და კაპიტალის მსხვილ წარმომადგენლებს, რომელნიც თავის გემოზე [illegible] ლებენ დემოკრატიულ მისწრაფებათ. ხოლო თუ ძველ რეჟიმის დამცველთა ცდა და განზრახვანი არ სრულდა და დამფუძნებელი კრება ბიუროკრატიულის რეცეპტით არ შესდგა, მაშინ სრულიად სხვა სურათი იქნება, რადგან საყოველთაო, პირდაპირი, ფარული და თანასწორი არჩევნები უეჭველად სასურველ წარმომადგენლობას მიანიჭებენ ქვეყანას.

ზოგიერთებს, მათ შორის ისეთ ლიბერალურ მიმართულების ჟურნალსაც, როგორიც არის „ვესტნიკ ევროპი", ისეთ მწიგნობართ და სახელმწიფო მოღვაწეთ, როგორიც არიან მაქსიმ კოვალევსკი, კუზმინ-კარავაევი და სხვანი, ეშინიათ, ვაი თუ მოუმზადებელმა ხალხმა (უმთავრესად სოფლისამ) ჯეროვანად ვერ ისარგებლოს დემოკრატიულს წესზე დაფუძნებულ საარჩევნო უფლებით და დამფუძნებელ კრებაზე თავისი მტრები გაგზავნოსო. მაგრამ, ასეთი შიში უადგილოა. საყოველთაო არჩევნებს, თუ ბიუროკრატიულ წესზე არ მოხდა იგი, ჯეროვანი მომზადებაც ექნება წინდაწინვე. თავისუფლება სიტყვისა და კრებისა, თავისუფლება აგიტაციისა უზრუნველჰყოფენ დემოკრატიის გამარჯვებას, რადგან ხალხის უმეტესობა მომზადებულია, ნიადაგი კარგია. ვინც საყოველთაო არჩევნებს ადრინდელ [illegible] რუსეთში „ხალხის მოუ[illegible] შით, იმას ან რაიმე [illegible] აქვს და განზრახ აზვიად[illegible] არ ესმის დღევანდ[illegible] ცნობის დღევანდ[illegible] ხალხის თვითცნობ[illegible] ბიჯი გადადგა წინ [illegible]

მაშასადამე, საქ[illegible] ნება, რომ მომავალი დამფუძნებელი კრება, როცა ბიუროკრატია მართლა იქნება ძლეული, უზრუნველჰყოფს რუსეთში სახალხო წარმომადგენლობით წესწყობილებას. ზევრჯელ გვითქვამს და ეხლაც ვიმეორებთ, რომ ძველ რეჟიმის დაბრუნება შეუძლებელია, მაგრამ ისიც არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ ილლიუზიები არ [illegible] ცვლილება დიდი მოხდება, წესწყობილება, სახალხო წარმ[illegible] ბის წესზე დამყარებული, შემოღებულ იქნება, მაგრამ დემოკრატიის სრული გამარჯვებამდე ჯერ კიდევ შორს არის. ამიტომაც არის, რომ რუსეთის არა-რუსი ერები დიდის ენერგიით აყენებენ წინ ეროვნულ საკითხს. მათთვის სამკვდრო-სასიცოცხლო საქმეა, როგორ მოეპყრობა დამფუძნებელი კრება სხვა-და-სხვა ერთა მოთხოვნათა და სურვი-

---

*) იხ. „ცნობის ფურცელი" № 2809.

ლებს. ჩვენთვის, მაშასადამე, აუცილებლად საჭიროა ვიცოდეთ კიდევ, როგორი იქნება რუსეთის დამფუძნებელი კრება ეროვნულ ინტერესების მიხედვით.

აქაც იმავე მასშტაბით უნდა ვიხელმძღვანელოთ, როგორც ზემოდ, ესე იგი, თუ ბიუროკრატიას დარჩა ბურთი და მოედანი, მაშინ დამფუძნებელ კრებაში არა-რუსთა ელემენტებს არ გააძლიერებენ; თუ ბიუროკრატიულის კომისიების რეცეპტებით შეადგენენ დამფუძნებელ კრებას, მაშინ, ცხადია, ყოველს ღონისძიებას იხმარენ და „ცენტრს“ გამარჯვებას მოუპოვებენ. ხოლო თუ ჩვენი იმედები გამართლდა და ხალხმა სძლია ბიუროკრატიას, მაშინ ეროვნებათა წარმომადგენლობაც, ცოტად თუ ბევრად და უფრო სამართლიანად, უთუოდ იქნება უზრუნველყოფილი.

რამდენად მძლავრი იქნება არა-რუსთა წარმომადგენლობა და რა მნიშვნელობა ექნება მას, თუ არჩევნები საყოველთაო იქმნა? ამაზე საინტერესო პასუხს გვაძლევს „ნოვ. ვრ.“-ს მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური გამოკვლევა. გავიცნოთ ეს მასალა და ჩვენი დასკვნაც გამოირკვევა.

1897 წლის აღწერით რუსეთის იმპერიაში მცხოვრებთა რიცხვი ასე განაწილდება სხვა და სხვა ერთა შორის:

1. რუსები:	რამდ. სულია		რამდ. 0/0-ა
ველიკორუსები	55,7	მილიონი	44,3
მალორუსები	22,4	„	17,8
ბელორუსები	5,9	„	4,7
სულ	83,9	„	66,8
2. პოლონელები	7,9	„	6,3
3. ებრაელები	5,1	„	4.
4. ყირგიზები	4,1	„	3,2
5. თათრები	3,7	„	3.
6. გერმანელები	1,8	„	1,4
7. ლატიშები	1,4	„	1,25
8. ბაშკირები	1,4	„	1,25
9. ქართველები	1,3	„	1,1
10. ლიტველები	1,2	„	1
11. სომხები	1,2	„	1
12. მოლდავ., რუმინი	1,1	„	0,9
13. ესტები	1	„	0,8
14 მორდვა	1	„	0,8
15. სარტები	1	„	0,8
დანარჩენები	8,6	„	6,4
ყველა ერთად	125,7	„	100

ეს ცნობები ეკუთვნის 1897 წელს; მას შემდეგ რვა წელიწადი გავიდა და, უეჭველია, მცხოვრებთა რიცხვმა იმატა. გარდა ამისა, ზოგიერთ ერის სხვა და სხვა ჯგუფი არ არის ამ ცხრილში ჯეროვანად ნაანგარიშევი; მაგალითად, ქართველებიდან გამოკლებულია მთიულები, ქართველი მაჰმადიანები. მაგრამ ამგვარ შეცდომებს თავი დავანებოთ და ვნახოთ რას ამბობს „ნოვ. ვრ.“-ს ცნობები. ვსთქვათ, რომ მომავალ დამფუძნებელ კრებაში 600 დეპუტატი იქნება. მაშინ საყოველთაო არჩევნებზე არჩეულ უნდა იქმნან:

რუსები:			
ველიკორუსები	267	ლატიშები	7
მალორუსები	107	ბაშკირები	7
ბელორუსები	28	ქართველები	7
ერთად	402	ლიტველები	6
პოლონელები	38	სომხები	6
ებრაელები	24	მორდვა, რუმინი,	
ყირგიზები	18	ესტი, მოლდავანი,	
თათრები	18	სარტი ხუთ-ხუთი	(20)
გერმანელები	8	დანარჩენები	38

მაშასადამე, „ნოვ. ვრ.“-ს ანგარიშით, რუსებს დამფუძნებელ კრებაზე ეყოლება 402 წარმომადგენელი, ყველა სხვა ერებს—198. ასეთი პროპორცია ძალიან ანუგეშებს სუვორინს „ცხადია, გაბატონებულს ერს (რუსთ) სახიფათო და საშიში არაფერი მოელის“-ო. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ რუსეთს მართლაც არაფერი სახიფათო არ მოელის, რადგან განცალკევება არავის ჰსურს, სეპარატიზმი არ არსებობს; მაგრამ არც ისეთი ოპტიმიზმი ვარგა, რომელსაც „ნოვ. ვრ.“ გვიქადაგებს. ჯერ ერთი, არ გვესმის, რათ არის გამოკლებული ცხრილიდან ფინლანდია, სადაც 3 მილიონამდე მცხოვრებია? შემდეგ, თავი და თავი საქმე ისაა, რომ ეროვნულ საკითხის გადაწყვეტის დროს ყველა რუსების ერთმანეთში არევა არ შეიძლება. „ნოვ. ვრ.“-ს სეპარატიზმი ეჩვენება ყველგან, სრულის გამოყოფვის ილლიუზია არ აძლევს მოსვენებას, თორემ ველიკორუსებსა და მალორუსებს ან ბელორუსებს ერთ ჯგუფში არ მოათავსებდა. ამ ჟამად საქმე ისეა დაყენებული, რომ მალორუსები და ბელორუსები სხვა ერებზე უფრო გაცხარებით დაიცვენ თავიანთ ეროვნულ მისწრაფებათ. ისინი შეერთებულად და მედგრად ემზადებიან, დამფუძნებელს კრებაზე იერიში მიიტანონ ცენტრალიზმის მომხრეებზე; მაშასადამე, ესენი არა-რუსთა მომხრეებია და „ნოვ. ვრ.“-ს ანგარიში უნდა შესწორდეს.

თუ ფინლანდიელებისაგან (შვედი და ფინნი) ზემოაღნიშნულის პროპორციით 15 წარმომადგენელს ვიანგარიშებთ და ეროვნებათა ბანაკს მივუმატებთ 107 მალორუსსა და 28 ბელორუსს, მაშინ არა-რუსთა რიცხვი იქნება 348 კაცი, ხოლო რუსებისა—252. ეს სულ სხვა სურათია, ვიდრე ის, რომლითაც ბ. სუვორინი თავს ინუგეშებს. როგორც დღეს გვეუბნება საზოგადოებრივის აზრის გაცნობა, ყველა ეროვნებათ (მათ შორის მალორუსთა და ბელორუსთა) სურთ სახელმწიფოს დეცენტრალიზაცია მოხდეს; უმეტე[illegible] ადგილობრივ პოლიტიკურ თვითმმართველობისა. თუ ეს სავსებით გამართლდა და თუ მომავალი არჩევნები დემოკრატიულის წესით მოხდა, მაშინ ცხადია, რომ დამფუძნებელ კრებაზე რუსეთის სხვა-და-სხვა ერთა ეროვნული ინტერესები არ დაიჩაგრება.

ამით ირკვევა ყველა ერთა სოლიდარობა და დამფუძნებელ კრების დემოკრატიულის წესით მოწვევისათვის საერთო მუშაობის საჭიროება.

განი

სოფლად

ქიზიყი. ქიზიყის ხალხი მეტად შემავიწროებელ პირობებში ჩაყენებული. ხალხის მოღალატე და ბნელეთის მოტრფიალე თავისუფლად დაფარფაშობს და როგორც მას უჯობს და მისი ინტერესი მოითხოვს, ისე მოქმედებს და ლაპარაკობს. დღეს ხალხი ამოძრავდა, ღელავს, ეძებს დაბეჩავების, ქონებრივ გაღატაკების და მისი ინტერესების უარყოფის მიზეზებს. აქნობამდე უსიტყვო და უენო, ხმას იღებს და სცდილობს თავიდან მოიშოროს ხელშემშლელი პირობები და შექმნას უკეთესი მომავალი. საერთო მდგომარეობამ და პირობებმა დაჰბადა ერთობის გრძნობა და რაც ხანი გადის, უფრო ძლიერდება ეს გრძნობა. ხალხის გამოფხიზლებამ და ამოძრავებამ, როგორც ზემოდ ვსთქვი, აამოძრავა ხალხის მოღალატენი. დღეს ქიზიყში არ დარჩა არც ერთი სოფელი, რომელსაც არა ჰყავდეს ამისთანა წარმომადგენელნი. აიღეთ გინდ სამღვდელოება, გინდა მასწავლებლები, სოფლის მოხელეებს ხომ თქმა აღარ უნდა. ჩვენ, რასაკვირველია, ბრალს არა ვსდებთ ყველას. ეს ზოგიერთები საშუალებას არა ზოგავენ, რომ ჩააქრონ ხალხის შეგნება; არ ერიდებიან ცრუ ხმების გავრცელებას და სხვა. მაგრამ ყოველივე ეს ამაოა: ხალხის მოძრაობას თავისი კანონები და მიზეზები აქვს და მისი მოსპობა-დაჩუმებას ამისთანა საშუალებით ვერ მოახერხებენ იმ დრომდე, სანამ არ მოისპობა ის მიზეზები, რომელნიც ხელს უშლიან ხალხის ეკონომიურ-პოლიტიკურ და კულტურულ წინმსვლელობას. ამას წინად ს. ანაგაში, შუადამისას, შეიპყრეს ორი ახალგაზდა კაცი ეს ყმაწვილები დააბეზღეს სოფლის მოღალატე მოხელეებმა, რომელნიც ტყავს აძრობენ ხალხს და უნდათ კვლავ იფარფაშონ, როგორც დღემდე ყოფილა. ცხადია რომ ამისთანა საშუალების მიმართვა ვერავის დაამშვიდებს...

28 აპრილს სიღნაღის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლმა, მომრიგებელ შუამავლის დახმარებით, რომელიც სოფელ-სოფელ დაიარებოდა, შეკრიბა ს. მაჩხაანში ქიზიყის სოფლებიდან ოციოდე კაცი ქიზიყის საჭიროების და მოთხოვნილებათა გამოსარკვევად. ზოგიერთ სოფლიდან სრულებით არ-ვინ დასწრებია. ჩვენ მხოლოდ ერთი გვიკვირს. რისთვის დასჭირდა ბ. მარშალს ამისთანა კრება. ქიზიყელებს რამდენჯერმე ჰქონდათ კრება, ადმინისტრაციის დაუხმარებლად. გამოარკვიეს კიდეც თავიანთი საჭიროებანი და შეიმუშავეს მოთხოვნილებანი, რაიც გაზეთებში დაიბეჭდა. თუ ბ-ნ მარშალს სჭიროდა გაეგო ქიზიყის საჭიროება-მოთხოვნილებანი, წაიკითხავდა გაზეთებს და ისარგებლებდა იმ მასალით, რაც იყო აღნუსხული იქ. ამისდა მიუხედავად გვსურს აღვნუსხოთ შედეგი ამ კრებისა. კრებამ თითქმის იგივე მოთხოვნანი წარადგინა, რაც უკვე იყო დაბეჭდილი. აღნიშნეს ეკონომიურს გარდა სხვა საკითხებიც. ეს არ მოეწონა მომრიგებელ შუამავალ თავ. ჯორჯაძეს, რომელმაც სთქვა, მე მარტო მამულების შესახებ მივეცი ლაპარაკის ნება და თქვენ-კი მოჰყოლიხართ და ვინ იცის რაები არ ჩაგიწერიათო. დიახ, მართალია, დღეს ქიზიყში მეტად გამწვავებულია მამულების დავა, მაგრამ სოფლებმა ხომ თავის დროზედ მიმართეს, სადაც ჯერ იყო, რატომ არ დააკმაყოფილეს მათი სამართლიანი თხოვნა, რად გადაჰკიდეს ერთი სოფელი მეორეს, მაგ. ანაგა ფანიანს, ანანური საქობოს. ხომ თავისუფალი მამულები მრავლად არის, რატომ არ მისცეს უმამულო სოფლებს. რად ახდენენ ისე, რომ რომელიმე მამულის ღალას ახდევინებენ სოფელს და მამული-კი სახელმწიფო აგენტის ხელშია და კერძო ვიღაცა მოქალაქეს აძლევენ იჯარით, მაშინ როდესაც სოფელი უმამულოდ იხრჩობა.) ან რაღათ ახდევინებენ სოფელს ღალას, თუ-კი მამული მისი არაა, მაგ. სოქობოს ესრედ წოდებული „ალექსაანთ ყური“.) დიახ, ვერ არის სანუგეშო ქიზიყელების ყოფა-ცხოვრება.

განწირული.

ახალი ამბავი

✦ **საყურადღებო ამბებს გადმოგვცემს** „კავ. ლის.“-ი ამ გაზეთის სიტყვით, კავკასიის ნამესტნიკს ეყოლება მეოთხე თანაშემწე, რომელსაც ჩაებარება სამოსწავლო საქმე, ამას გარდა მთავრობის ყველა ის დაწესებულება კავკასიაში, რომელიც ზოგადმართველს არ ექვემდებარებოდა, დაექვემდებარება ნამესტნიკს. არ დაექვემდებარება ნამესტნიკს მხოლოდ სამოსამართლო დაწესებულებები. კავკასიის ნამესტნიკთან არსდება განსაკუთრებული საბჭო. საბჭოში შევლენ წარმომადგენელნი მთავრობის დაწესებულებებისა, თავად-აზნაურობისა, ქალაქებისა და სოფლისა. ამ საბჭომ უნდა განიხილოს კავკასიის შესახებ საკითხები; იგი დროგამოშვებით იქნება მხოლოდ მოწვეული.

✦ გაზეთ „კავკაზ“-ში დაბეჭდილია ოფიციალური განცხადება **კავკასიის ნამესტნიკის გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის დახვედრის** შესახებ. გრაფი ჩამოვა ხვალ, ნაშუადღევის 1-ლ საათზე. სადგურზე უნდა მიეგებნენ: ნამესტნიკის თანაშემწეები, ნამესტნიკის საბჭოს წევრები, ნამესტნიკის კანცელარიის დირექტორი და ვიცე-დირექტორი, განსაკუთრებულ მინდობილებათა მოხელენი, ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიების თავად-აზნაურთა საგუბერნიო წინამძღოლნი და ის სამაზრო წარმომადგენელნიც, რომელნიც ტფილისში არიან, ტფ. ქალაქის მოურავი და გამგეობის წევრნი, ვაჭართა, ხელოსანთა და მოქალაქეთა მოურავები. თავად-აზნაურთა წინამძღოლი და ქალაქის მოურავი მოკლე სიტყვებით მიესალმებიან. სადგურიდან ნამესტნიკი ცხენით გამოემართება ვოკზლისა, სალოვოი, მიხეილისა და კიროჩნი ქუჩით, ვერის აღმართით ავა გოლოვინის პროსპექტზე, აქედან ერევნის მოედანზე და შემდეგ მივა სიონის საკათედრო ტაძარში, იქიდან ვანქის ტაძარში და შიიტების და სუნიტების მეჩითებში. ნამესტნიკს სასახლესთან დახვდება საპატიო სადარაჯო რაზმი. თვით სასახლეში გრაფს უნდა წარუდგნენ: მართლმადიდებელთა, სომეხ-გრიგორიანთა, კათოლიკეთა და მაჰმადიანთა სამღვდელოების უფროსი წარმომადგენელნი; გენერლები და სამხედრო ნაწილთა უფროსები; ადმინისტრატიულ და სასამართლოს დაწესებულებათა უფროსი მოხელენი; თავად-აზნაურობის, ქალაქის და საზოგადოებრივ დაწესებულებათა წარმომადგენელნი; ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთების რედაქტორები და უცხოეთი კონსულები. ყველა ქუჩებში, სადაც ნამესტნიკი გაივლის, ჯარები იქნება დამწკრივებული. ქალაქის მორთვა და გაჩირაღდნება ქალაქის მმართველობამ იკისრა.

✦ როგორც შორაპნიდან გვატყობინებენ, 30 აპრილს, ღამის 10 საათზე, იმ ადგილას, სადაც მდინარე ლანგერანი მდინარე ჩხარს უერთდება, მე-122 ვერსტზე სადგურიდან, **შემდეგი ამბავი მომხდარა**: სახალხო მატარებელს № 121, როდესაც ამ მდინარეზე გადებულ ხიდზე გაუვლია, ვაგონიდან თვალი შეუსწრიათ, რომ ხიდქვეშ იმყოფებოდა 20 კაცი, რომელნიც თურმე სათევზაოდ ყოფილან ჩასულნი; სადგურზე მისვლისთანავე უცნობებიათ ეს ამბავი სრულიად სხვა კილოთი ტენგინის მე-77-ე პოლკის ერთ-ერთი უფროსისთვის, რომელსაც იმ წამს ამ ადგილას 6 ჯარისკაცი გაუგზავნია. ამ პატრულს არ გაუგია, რაშია საქმე და სროლა აუტეხია. სროლის შემდეგ აღმოჩენილან მოკლულნი სოფ. ჩხარის მცხოვრებნი მიხეილ ციცქიშვილი, ალექსი ცხოვრებაშვილი 23 წლისა და პორფირე ფუტკარიძე 14 წლისა. გარდა ამ მკვდრებისა, შეუპყრიათ კიდევ 7 კაცი. ამ შვიდი კაციდანაც დაჭრილნი აღმოჩენილან ალექსანდრე, გერასიმე და სოლომონ ფუტკარიძენი. („ივერია“).

✦ **ქუთაისის თავად-აზნაურობას უკვე გაუგზავნია პეტერბურგში** ადრესი, რომელიც ამას წინად თავად-აზნაურთა კრებამ მიიღო.

✦ ქალაქის ზოგიერთ უბნის **მობინადრეებმა სახლის პატრონებს წარუდგინეს თავიანთი მოთხოვნილებანი.** მობინადრენი თხოულობენ ქირების დაკლებას, ეზოებში წყლის გამოყვანას, სისუფთავეს და სხვას.

ფელეტონი

ინგლისი

მოქალაქე და მისი უფლებანი.

ინგლისელ მოქალაქის ძირითად და მთავარ უფლებას შეადგენს მისი პიროვნებისა და საკუთრების დაცვა მთავრობის ყოველგვარ ძალმომრეობისაგან. მოქალაქის პიროვნებას სპეციალური კანონი, ეგრედ წოდებული Habeas corpus act-ი იცავს, რომელიც 1679 წელს გამოიცა და 1816 წ. შევსებულ იქმნა. მკვიდრ მცხოვრებლების გარდა, ყოველი უცხოელიც-კი, რომელიც, დროებით თუ დიდისხნით, ბრიტანიის კუნძულთა შორის დასახლდება, ყოველ წუთს ამ კანონის მფარველობის ქვეშ იმყოფება.

კერძო საკუთრებას კი სასამართლო და საზოგადოებათა პალატა იცავს და იფარავს. პალატის ნებადაურთველად არანაირი გადასახადი არ შეიძლება შემოღებულ იქნას და, თუ სასამართლომ არ დაადგინა, ინგლისის მოქალაქეს ვერც მეფე და ვერც სხვა ვინმე ერთ გროშსაც ვერ გადაახდევინებს.

ინგლისელის უფლებების წყაროდ და სათავედ „თავისუფლების დიდი ხარტია“ უნდა ვაღიაროთ, რომელიც, ერთის მხრივ, ბარონებსა, მოქალაქეთა და, მეორეს მხრივ, მეფე „იოანე უადგილოს“ შორის დადებულ ხელშეკრულობას წარმოადგენს. ეს ხარტია 1215 წ. ჩრდილოეთის ბარონებმა და ლონდონის მოქალაქეებმა ძალ[illegible]ელობაზე გამოჰგლიჯეს მეფე იოანეს.

ხსენებული ხარტია 63 მუხლისაგან შესდგება, მაგრამ ყველაზე საგულისხმიერო და მნიშვნელოვანი მე-12, 14, 39 და 63 მუხლებია. პიროვნების თავისუფლება პირველად 39 მუხლში იქმნა გამოცხადებული. ამ მუხლის ძალით არც ერთი თავისუფალი კაცი არ შეიძლება დაპატიმრებულ, კანონის მფარველობას მოკლებულ, განდევნილ ან სხვაფრივ დასჯილ იქნას, თუ არ ქვეყნის კანონების ძალით და თანასწორთა დადგენილებით. დანარჩენი სამი მუხლით თანამედროვე პარლამენტის საფუძველი იყო დადებული. მე-12 მუხლი მეფეს მხოლოდ სამ შემთხვევაში აძლევს უფლებას, რომ თავის ქვეშევრდომს ფულით დახმარება მოსთხოვოს: თუ ვინიცობაა მეფე დატყვევებულია და ფულით გამოსყიდვა შეიძლება და უფროს ვაჟისა ან ქალის დაქორწინების დროსა. სხვა დახმარებაც შეიძლება გაუწიოს ინგლისელმა მოქალაქემ თავის მეფეს, მაგრამ მხოლოდ საერთო დადგენილებას და გადაწყვეტილების შემდეგ. ვისგან და როგორ უნდა შესდგეს ეს საერთო კრება—ამას ხარტიის მეთოთხმეტე მუხლი სწყვეტავს: მეფის სახელით მოწვეულ უნდა იქნან მთავარ ეპისკოპოსნი, ეპისკოპოსნი მოძღვარნი, გრაფნი და უფროსი ბარონები; დანარჩენ ქვეშევრდომთ კი საერთო მოწოდებით იწვევენ შერიფები და სხვა თანამდებობის პირნი. ამ მოწოდების განსხვავებამ შემდეგში ქვედა და ლორდთა პალატების სხვა-სხვაობა წარმოშობა. „თავისუფლების დიდ „ხარტიაში“ არის აგრეთვე ისეთი (63) მუხლი, რომელიც ხარტიის განხორციელებას და მის სისრულეში მოყვანას თვალ-ყურს ადევნებს. ამ მუხლის ძალით ბარონები თავიანთ წრიდან 25 პირს ირჩევენ, რომელნიც ყოველ შემთხვევაში სცდილობენ ხარტიის მიერ მინიჭებული თავისუფლება დაიცვან და მათ შემზღუდავ ძალას ლაგამი დაადონ. თუ ვინიცობაა მეფემ ხარტიის მიერ მინიჭებული თავისუფლება დაარღვია და ოთხი ბარონის წინადადებით ორმოცი დღის განმავლობაში თავისი შეცდომა არ გაასწორა, ამ ოცდახუთ ბარონს უფლება აქვთ მეფის წინააღმდეგ ძალმომრეობა იხმარონ—წაართვან სასახლეები და მიწა წყალი, მხოლოდ მეფეს პიროვნებას და ოჯახს კი არ უნდა შეეხონ. ყველას შეუძლიან ამ ოცდახუთ ბარონს შეჰფიცოს ერთგულებაში და მასთან ერთად ავიწროოს მეფე, სანამ ეს უკანასკნელი თავის შეცდომას არ გაასწორებს.

რასა თქმა უნდა, რომ ინგლისის მეფეები ყოველთვისა სცდილობდნენ მოქალაქეთა თავისუფლების შეზღუდვას. ჯერ ორი თვეც არ გასულიყო ხარტიის დამტკიცების შემდეგ, რომ „იოანე უადგილომ“ რომის პაპის თანხმობით ხელშეკრულება დაარღვია, რამაც შინაური, სამოქალაქო ომი გამოიწვია. სხვა მეფეებიც ამავე პოლიტიკას მისდევდნენ, სანამ მეჩვიდმეტე საუკუნის რევოლუციამ მეფეთა ფართო სურვილებსა და უსაზღვრო ბატონობის სიყვარულს სამუდამოდ არ მოუღო ბოლო.

როგორც ზევითაც დავინახეთ, მეცამეტე საუკუნის დასაწყისშივე პიროვნების და კერძო საკუთრების ხელშეუხებლობას ინგლისელი სულ სხვანაირად უცქეროდა. ის ყოველ წუთს მზად იყო თავი დაედო ამ უფლებათა დასაცველად და აგი თავისი კაცური-კაცობა იარაღითაც დაიცვა და დღევანდელ კონსტიტუციასა და თავისუფალ-ადამიანურ ცხოვრების საძირკველში ღვიძლი შვილებისა და ძმების ძვლები ჩაჰყარა. თავისუფალ ცხოვრების ასაღორძინებლად აღმოსაცენად ინგლისელმა ნიადაგი თავისი წმინდა სისხლით მორწყო და საკუთარის ლეშით გაპოხიერა. ამ დიდი ბრძოლის აღწერა ჩვენ აზრათ არა გვაქვს ამ ჟამად და ამიტომ ამ წერილში მხოლოდ ორ მოვლენას გავიხსენებთ.

1627 წელს მოქალაქის პიროვნების და საკუთრების ხელშეუხებლობის საკითხმა პირველი ადგილი დაიკავა ინგლისელთა საზოგადო ცხოვრებაში. ამ მოვლენის უახლოვეს მიზნად გამპდენისა და მის თანამოაზრეთა დატუსაღება იყო. მეფის „საიდუმლო საბჭოს“ ბრძანებით გამპდენისთვის ძალდატანებულ სესხის სახით უკანონო გადასახადი უნდა გადაეხდევინებინათ. ურჩობისათვის დატუსაღებულმა გამპდენმა სასამართლოს განთავისუფლება მოითხოვა და როცა სასამართლომ დატუსაღების მიზეზის გაგება მოინდომა, სატუსაღოს ზედამხედველმა მხოლოდ შემდეგი გამოაცხადა: „ეს პირნი მეფის „საიდუმლო საბჭოს“ განკარგულებით იყვნენ დაპატიმრებულნი და მიზეზის ნაცვლად საბჭომ მხოლოდ ის გამოაცხადა, რომ ამ პირთა დატუსაღება მათმა უდიდებულესობამ, მეფემ მოისურვა“.

საქმის გარჩევის დროს საუკეთესო იურისტები მხოლოდ იმ საკითხის გადაწყვეტას სცდილობდნენ—აქვს თუ არა სასამართლოს უფლება დაუყოვნებლივ გაანთავისუფლოს დაპატიმრებული პირი თუ მისი დაპატიმრება მიზეზების აუხსნელად მოხდა. უფრო ნათლად რომ ვსთქვათ, იურისტებს მეფის უფლებების საზღვრები უნდა გაეგოთ. ვექილები თავიანთ მსჯელობას „თავისუფლების ხარტიის“ 39 მუხლზედ და შემდეგ კანონმდებლობაზე ამყარებდნენ. მოიყვანეს, სხვათაშორის, ჰენრის IV დროის მოსამართლის სიტყვები, რომელიც მას ანალოგიურ შემთხვევაში ეთქვა: „მე რომ მეფემ ვისიმე უკანონო დატუსაღება მიბრძანოს, თუ შევასრულებ მის ბრძანებას, თუნდაც მეფის თანადასწრებითაც მოხდეს ეს ამბავი, დატუსაღებულს სრული უფლება აქვს ჩემ წინააღმდეგ სარჩელი აღძრას და თავისუფლების უკანონო შეზღუდვისათვის ჩემი დასჯა მოითხოვოს“-ო. მოიყვანეს აგრეთვე მთავარ მსაჯულის მარკამის სიტყვები, რომელსაც მეფე ედუარდ მეოთხესთვის ეთქვა: „მეფეს არ შეუძლიან უმიზეზოდ დაატუსაღოს ვინმე ისე, როგორც თავისუფლად ჩაიდენს ამას ყველა მისი ქვეშევრდომი, რადგან თუ მისმა ქვეშევრდომმა დაატუსაღებინა ვინმე, ამ უკანასკნელს უფლება და შეძლება აქვს უკანონო მოქმედებისათვის თავისი დამტუსაღებელი სამართალში მისცეს, მაგრამ თუ ეს დამტუსაღებელი მეფე იქნება, დასჯილი ამას ვერ ჩაიდენსო“.

როგორც ვიცით, სასამართლომ მაშინ ვერ გაჰბედა გამპდენის განთავისუფლება, მაგრამ საზოგადოებათა პალატამ კი შემდეგი რეზოლუცია დაადგინა (Petition of Rigts—უფლებების პეტიცია 1698 წ.).

„1. ვერც ერთ თავისუფალ მოქალაქეს ვერც მეფე და ვერც მისი საიდუმლო საბჭო ვერც დაატუსაღებს და ვერც სხვაგვარად შეავიწროებს თუ კანონიერი მიზეზი წინდაწინვე არ აუხსნა სასამართლოს.

„2—Habeas corpus-ის უარი ვერავის ეთქმის: ეს ბრძანება ყველას უნდა მიეცეს, ვინც უნდა იყვეს იგი და ვისი ბრძანებითაც უნდა იყვეს დატუსაღებული“ (რას ნიშნავს ამ ბრძანების გამოცემა, ქვევით დავინახავთ).

„3—თუ მეფისა და მისი „საიდუმლო საბჭოს“ ბრძანებით კანონიერი მიზეზის აუხსნელად დატუსაღებულ ან სხვაფრივ შევიწროვებულ იქმნა ვინმე და ეს გარემოება Habeas corpus-ით დამტკიცდა, დატუსაღებული ან სხვაფრივ შევიწროვებული დაუყოვნებლივ განთავისუფლებულ უნდა იქნას, ან არა და თავდებით მაინც უნდა გაუშვან“.

Habeas corpus act-ი მეხუთმეტე და მეთექვსმეტე საუკუნეშივე იცავდა მოქალაქეთ ამ ქვეყნის ძლიერთა ძალ-მომრეობისაგან. ყველას, ვინც კი უსამართლოდ დასჯილად რაცხდა თავის თავსა, უფლება ჰქონდა სასამართლოსათვის მიემართა და Habeas corpus-ის გამოცემა ეთხოვნა, ე. ი. ეთხოვნა სასამართლოსათვის ებრძანებინა საპყრობილეს ზედამხედველისათვის დაპატიმრებული დაუყოვნებლივ სასამართლოსათვის წარედგინა და მისი დატუსაღების კანონიერი მიზეზი აეხსნა. 1679 წლამდის, როცა Habeas corpus act-ი ოფიციალურად იქმნა ორთავე პალატის მიერ მიღებული, პიროვნება დღევანდელსავით არ იყო ინგლისში უზრუნველ-ყოფილი. ამ წლამდის Habeas corpus act-ს გამორკვევაც აკლდა და, რაც უფრო ესუსტებდა მას ძალას, მისი დარღვევისათვის ინგლისის ცხოვრებამ არავითარი სასჯელი არ იცოდა. ამის გამო, ჯერ ერთი, სასამართლოს შეეძლო არ აესრულებინა უკანონოდ დასჯილის სურვილი და, მეორეს მხრივ, სასამართლოს რომ აესრულებინა კიდეც, სატუსაღოს ზედამხედველს შეეძლო არ წარედგინა დასჯილი მოქალაქე სასამართლოს წინაშე და არც მისი დაპატიმრების მიზეზი აეხსნა.

ყველა ეს ნაკლი 1679 წელს სამუდამოდ აცდინეს ინგლისელებმა თავიდან. ამ წლის შემდეგ ყოველი მოსამართლე მოვალეა დაუყოვნებლივ აასრულოს უკანონოდ დასჯილის სურვილი—წინააღმდეგ შემთხვევაში ხუთასი გირვანქა სტერლინგი გადახდება ჯარიმად. Habeas corpus act-ის მოთხოვნა დაპატიმრებულის გარდა, იმის ნათესავებსა ნაცნობებს და ასე გასინჯეთ, უცნობებსაც კი შეუძლიანთ, თუ კი მოისურვეს დაპატიმრებულის ბედ-იღბალში ჩარევა. (გავიხსენოთ „ინგლისელ დრეიფუსის“ ადოლფ ბეკის საქმე.) საპატიმროს ზედამხედველი სანამ წერილობით ბრძანებას არ მიიღებს ამა თუ იმ პირის დატუსაღების შესახებ, არავის დაპატიმრება არ შეუძლიან. როცა ან თითონ დაპატიმრებული ან მისი ნათესავი, ან ნაცნობი, ან სრულიად უცხო ვინმე, რომელსაც დასჯილის ბედ-იღბალში მონაწილეობის მიღება სურს, საპატიმროს ზედამხედველს ამ ბრძანების პირს (ასლს) მოსთხოვს, ეს უკანასკნელი მოვალეა ექვსი საათის განმავლობაში დააკმაყოფილოს მთხოვნელი, წინააღმდეგ შემთხვევაში პირველად ასი გირ. სტერლინგი გადახდება ჯარიმად და მეორედ—ორასი, ამას გარდა სამსახურიდანაც დათხოვნილი იქნება. მიიღებს თუ არა ზედამხედველი Habeas orpus-ს*) მოვალეა 3—20 დღის განმავლობაში (ეს მანძილზეა დამოკიდებული) სასამართლოში წარადგინოს პატიმარი და დაწვრილებით აუხსნას სასამართლოს: რამდენი ხანი იყო პატიმარი დატუსაღებული და რა მიზეზით და რა გარემოებებში დაატუსაღეს. თუ არ აასრულა ეს მოვალეობა, პატიმრის სასარგებლოთ პირველად ასი გირვ. სტ. გადახდება ჯარიმად და მეო-

---

*) ამ ბრძანებაში სწერია: „გიბრძანებთ ამა და ამ კაცის სხეული (აქედან წარმოსდგება კანონის სახელიც Habeas corpus,) რომელიც თქვენ გყავთ დაპატიმრებული, დაუყოვნებლივ წარმოადგინოთ ჩვენ სასამართლოში და სხ.“

◆ ამბობენ, ფინანსთა სამინისტრომ საბოლოოდ გადასწყვიტა **შემოიღოს ამიერ-კავკასიაში არყისა და თამბაქოს მონოპოლიათ.**

◆ გუშინ 3 მაისს, ტფილისის საბჭოს დარბაზში მოხდა **მეეტლეთა კრება** თავიანთ მდგომარეობის შესახებ მოსალაპარაკებლად. კრებამ დაადგინა მოითხოვოს: 1. სრულიად გაუქმდეს ნიხრი მიმოსვლაზე; 2. შეეწეროთ ნიხრის ფული პირველ ხარისხის მეეტლეებს—5 მანეთი, მეორე ხარისხისას—3 მან. 3. გაუქმდეს გადასახადი მესამე და მეხუთე ცხენზე; 4. სრულიად ეპატიოთ მეეტლეებს უკანასკნელ 10 წლის ნედოიმკები; 5. განთავისუფლდნენ მკვდრებისა, დაჭრილებისა, გადამდებ სენით ავადმყოფებისა და მთვრალ ხალხის გადაყვან-გადმოყვანისაგან და 6. თუ ვინიცობაა ყველა ეს მოთხოვნილება არ იქმნა მიღებული, მეეტლეები გაიფიცებიან. კრებამ დაადგინა, შესწყვიტოს მუშაობა ხვალ, ხუთ მაისს.

◆ როგორც გავიგეთ, გორის (სოფ. ტირძნისის) მაზრის მემამულე სტუდენტ ნიკ. **სულხანიშვილისათვის** ქართველ სტუდენტებს წინადადება მიუციათ, თავი იმართლოს საამხანაგო სამართლის წინაშე. სულხანიშვილს თანხმობა განუცხადებია.

◆ 23 მაისისთვის დანიშნულია ტფილისის გუბერნიის და ზაქათალის ოლქის **სატყეო გამგეობის მოხელეების კრება;** ამ კრებაზე, ჩვეულებრივ სატყეო მეურნეობის კითხვების გარდა, განხილულ იქმნება ზომები იმ აგრარულ უთანხმოების შესახებ, რომელიც ჩამოვარდა მიწის-მფლობელთა და გლეხებს შორის. დაახლოვებით ამავე დროს გაიმართება კრებები სატყეო გამგეობის მოხელეებისა სხვა გუბერნიებში. („კავ.“).

◆ ამავე გაზეთის სიტყვით, **ტფილისის გუბერნატორად ინიშნება** ვიცე-გუბერნატორი ალშევსკი, ხოლო ვიცე-გუბერნატორად—ტფ. პოლიცმეისტერი კოვალევი, სააქციზო გადასახადების უფროსი ამიერ-კავკასიაში პერშკე პეტერბურგს გადაჰყავთ.

◆ გუშინ, 3 მაისს, ოლგას საბებიო ინსტიტუტის ძიძა ქალები, რიცხვით 250 მივიდნენ ერთათ ინსტიტუტში და მის დირექტორს **შემდეგი მოთხოვნები წარუდგინეს:** დათხოვნილ იქნას ექიმი ქანანოვი, როგორც მოქრთამე და ცუდად მომქცევი; ზრდილობიანი მოპყრობა ექიმებისა, მოსამსახურეებისა და ბებია ქალებისაგან; თვიური ჯამაგირი ძიძებს უნდა ეძლეოდეთ არა ნაკლებ 12 მანათისა, როგორც ძუძუს მწოვარ ბავშვისთვის, ისე მოზრდილთათვისაც; ავადმყოფობის დროს როგორც ძიძებს, ისე ბავშვებს წამალი და ექიმი უფასოდ; შეამოწმოს ექიმმა ძიძის გადაცემამდის ბავშვი, რომ გადამდები სენით არ იყოს ავად; ჯამაგირის მიღების დროს ბავშვის მოყვანა მოისპოს სამაგიეროდ დაევალოს ექიმს თვეში ერთხელ ბავშვი ინახულოს ბინაზე; ექიმის მიერ ბავშვის დაბრუნება არა ხდებოდეს ძიძების დაუკითხავად; ვინიცობაა ბავშვი ძიძის ხელში გადაიცვალა, სამარხი მიეცეს 10 მანათი; იმ ძიძებს, რომელთაც სურთ ბავშვები იშვილონ, უნდა ეძლეოდეთ 12 მანათი თვიურად შვიდის წლის განმავლობაში; არჩეულ იქნას ძიძებისაგან კომისია და მას დაევალოს თვალყური ეჭიროს ბავშვთა მოვლა პატრონობაზე ძიძების მხრივ. ბოლოს ძიძები აცხადებენ, ვუერთდებით რუსეთის გამანთავისუფლებელ მოძრაობასაო.

◆ როგორც „ჩ. ვ.“-ს სოხუმიდან ატყობინებენ, მაქსიმოვის ხე-ტყის ქარხანაში 30 აპრილს მუშებმა **მუშაობა შესწყვიტეს.** ამ დღეს ყველაფერი დაკეტილი იყო. პოლიცია ძალით აღებინებდა ფურნეებს, საყასბოებს და სანოვაგის დუქნებს.

◆ რადგან იმიერ-კავკასიის სხვა და სხვა ადგილას მოძრაობა არა ცხრება ამიტომ, როგორც „კავ.“ გადმოგვცემს, წელს, განზრახულია ძლიერ **შეამცირონ ის სამუშაო,** რომელიც შეეხება მიწის გამიჯვნას, საკუთრების მოწესრიგებასა და ტყის გაშენებას.

◆ ქალაქ **გორში არსდება** სამარხი კასსა კრება უკვე მოხდა და წესდების შედგენა დაევალა ქალაქის მოურავს გრიგორაშვილს.

◆ 5 მაისს, საღამოს 8 საათზედ, ტფილისის საბჭოს დარბაზში მოხდება კრება თავიანთ საჭიროებებზე მოსალაპარაკებლად პოლიციის მე-9 ნაწილის **სახლის პატრონებისა.** სხვათა შორის, ლაპარაკი იქნება მეეზოვეთა გაუქმების შესახებ.

◆ ამას წინად თავ. ქობულაშვილის მამულში **სოფ. კოზარეთს** (ბორჩალოს მაზრა) ტყის მცველს ოქროაშვილს **მოუკლავს დიდ-დმანისის მცხოვრები მიქელაშვილი.** ამ ამბავს ისე აუღელვებია დიდ დმანისისა და ახლო-მახლო სოფლის მცხოვრებნი, რომ დიდიან-პატარიანად აკრეფილან და წასულან კოზირეთისაკენ თავ. ქობულაშვილის სახლის ასაკლებად. გზაზე დახვედრია მაზრის უფროსი პოლიციელებით, რომელსაც ბევრის მეცადინეობის შემდეგ ხალხი დაუშოშმინებია.

◆ როგორც ვწერდით, ტფილისში **გავრცელდა ერთგვარი სენი, მენინგიტად წოდებული.** ქალ. სასანიტარო სამკურნალო საბჭომ ამ სენით ავადმყოფთათვის ქალაქის ერთ ბარაკში უნდა მოამზადოს განყოფილება; დაავალოს ქალაქის ექიმებს, აცნობოს ყველაფერი თუ შენიშნავენ ასეთ ავადმყოფიას.

◆ თავის დროზე უკვე დავბეჭდეთ მოთხოვნილებანი აფთიაქების **ფარმაცევტებისა, პროვიზორებისა და მათ თანაშემწეთა.** ეხლა-ხან აცნობეს ამათ, რომ ზოგიერთ უმთავრეს მოთხოვნილებას ვერ ავასრულებთო. ამის გამო ფარმაცევტებმა დაადგინეს გამართონ საერთო კრება და მოილაპარაკონ. გუშინ ფარმაცევტების წარმომადგენლებმა სთხოვეს ქალაქის მოურავს, 6 მაისს დაუთმოს იმათ საბჭოს დარბაზი. მოურავმა შეიწყნარა ეს თხოვნა.

◆ დღეს, 4 მაისს, ჩაჰყრიან საძირკველს არამიანცის ფულით განზრახულ სამკურნალოს შენობისას.

◆ 2 მაისს ავჭალის ქუჩაზე, ა. ფ—ის ოჯახში შემდეგი ამბავი მოხდა: ძლიერ ავადმყოფ ქალს გულის ფრიალი ავარდნოდა და სიკვდილზე მიმდგარიყო. ამის გამო დედამისს საწამლავი დაელია ორივე საავადმყოფოში წაიყვანეს. ექიმებს დედის მორჩენის იმედი არა აქვთ.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ფოთი, 3 მაისი. დღეს დილის 11 საათზე, ხიდზე, ბულვართან, ექვსმა ყაჩაღმა გაძარცვა ნავთსადგურის ამშენებელთა მეართელე და წაართვა 1000 მანეთი. გამძარცველებს დაედევნენ გამგეობის მოსამსახურენი, რის გამოც ადმინისტრაციამ შეიპყრო ოთხი კაცი, ამათგან სროლის დროს ორი დაიჭრა ყაზახ რუსების მიერ, ორმა ყაჩაღმა მოასწრო გაქცევა; თან წაიღეს ფული. გაქცეულთ თავი შეაფარეს ახალ უბანს.

ტფილისის ქალაქის საქმეები

2 მაისი

ქალაქის მოურავმა აცნობა საბჭოს ტრამვაის დირექციისა და მოსამსახურეთა შეთანხმების ამბავი. ამ საღამოს საბჭოს უნდა განეხილა საქმე უსახელო საზოგადოების დაჯერიმების შესახებ, მაგრამ ვერ განიხილა, რადგან საბჭომ საჭიროდ სცნო ამ საქმის შესახებ მასალის დაბეჭდვა.

დანარჩენი დრო საბჭომ მოანდომა ნაძალადევლთა და ლოტკის გორის მცხოვრებთა შუამდგომლობის განხილვას. მკითხველებმა უკვე იციან, რასაც თხოულობენ ნაძალადევლნი და ლოტკის გორელნი. შარშან და წინაც საბჭომ უარი გამოუცხადა ნაძალადევლთ მიწის გამოსყიდვაზე. საბჭომ მასალის შეკრება და მოხსენების შედგენა დაავალა კომისიას, რომელმაც ის აზრი გამოსთქვა, რომ ნაძალადევლთ საკუთრებად არ უნდა დაუთმოთ მიწები, რადგან იქ წვრილი მესაკუთრეობა ფეხს ვერ მოიკიდებს, მიწებს მსხვილი ვაჭრები შეისყიდიან და დიდ სახლებს ააგებენო. ამას გარდა კომისია ამბობს, რომ ქალაქი მიწებს საზოგადოდ ვერ შეელევა, რადგან შემდეგში ბევრი საჭიროებანი აღმოუჩნდებაო. ქალაქის მოურავმა ამ საქმის შესახებ ვრცელი მოხსენება წარუდგინა საბჭოს. მოურავი საქმეს ყოველ მხრით შეეხო და დაამთავრა მოხსენება იმით, რომ მიწების დათმობა ბევრად სასარგებლო იქნება ქალაქისთვისაო. მოურავის აზრით, თუ საბჭო პრინციპიალურად დასთანხმდა მიწის გამოსყიდვაზე, კომისია მოიჯარადრეთა წარმომადგენლების მონაწილეობით გამოარკვევს მიწების გამოსყიდვის პირობებს. მოურავმა ხმოსნებს აცნობა აგრეთვე მოიჯარადრეთა კრების დადგენილება, ამასთან მოურავმა მოიჯარადრეთა წარმომადგენელნი—ხოჯაევი, სადაკაშვილი და ლენჩევსკი მოიწვია დარბაზში ეცნობებინათ საბჭოსათვის დამტკიცებით, თუ რამ სათქმელი ჰქონდათ. ჯერ ხოჯაევმა სთქვა: რადგან რუსულს კარგად ვერ ვლაპარაკობ, ნება მომეცით ქართულად მოგახსენოთ. როცა ჩვენ ქალაქის განაპირას დავსახლდით, ეს ადგილი ხრიოკები და ქალაქისთვის სრულიად უსარგებლო იყო. იქ არ შეიძლებოდა არც ქარხნის გამართვა და არც რაიმე სხვა საქმის გაკეთება, რაც ქალაქს სარგებლობას მისცემდა. ჩვენ, ხელოსნები და მშრომელი უმრავლესობა აქ ქალაქის შუაგულს სარდაფებსა და ნესტიან სახლებში გვეყარეთ. არავინ ჩვენი პატრონი არ აღმოჩნდა, ქალაქის თვითმართველობამ არავითარი ყურადღება არ მოგვაქცია, მაშინ როდესაც ჩვენის, მშრომელ ხალხის, ხელითაა ყოველივე აშენებული, ჩვენზე ზრუნვა ფიქრადაც არავის მოსვლია. გარდა პირადის შრომისა ხალხი გადასახადებსაც კარგა ბლომად ეწევა, მაგრამ ამის მიუხედავად უკიდურეს მდგომარეობაში ვიყავით. როცა გაგვიჭირდა, ჩვენს თავს პატრონობა გავუწიეთ, გავედით ქალაქს გარეთ და დავსახლდით ამ ხრიოკ ადგილებში. იქ დასახლებით ადგილებს ფასიც მოვუმატეთ და ქალაქს სარგებლობას ვაძლევთ. ქალაქის საბჭომ მადლობაც უნდა გვითხრას, რომ ყოვლად გამოუსადეგარ მიწებს ფასი მოუმატეთ. გარდა ამისა ის 2000 კაცი, რომელიც ამ განაპირა უბანში სცხოვრებს, აქ, ქალაქის შუაგულში რომ დარჩენილიყო, ეპიდემიის გაძლიერებას უფრო ხელი შეეწყობოდა. მოიჯარადრეთა დადგენილებაში რამდენსამე ადგილას ცოტა უხერხული სიტყვებია სახმარი, მაგრამ ვთხოვ საბჭომ იმას ყურადღება არ მიაქციოს, რადგან ყოველივე ეს ჩვენმა ამდენი ხნის თმენამ და უნაყოფოდ ხვეწნა-მუდარამ ჩაგვადენინა. გთხოვთ ჩვენც მოგვაქციოთ ყურადღება. სადაკაშვილმაც კარგა ხანს ილაპარაკა და, სხვათა შორის, სთქვა, რომ ამ მიწებიდან მცხოვრებლებმა ამ ათის წლის განმავლობაში 88,000 მან. ასარგებლეს ქალაქსაო.

ამ საქმის შესახებ კამათმა ნაშუადამევის 1 საათამდე გასტანა. ხმ. ტიგრანოვი, თავ. ა. მ. არღუთინსკი, ა. ხატისოვი, ნ. ხუდადოვი და ბარათაშვილი წინააღმდეგნი იყვნენ ქალაქის გამგეობის დადგენილებისა მიწების საკუთრებად დათმობის შესახებ. სხვათა შორის ამათ სთქვეს, რომ 90% მცხოვრებლებისა რკინის გზის მუშები არიან და ვიდრე იქ მუშაობენ, ადგილები ხელში ექმნებათ, მაგრამ შემდეგ შესაძლებელია გაჰყიდონ და თვითონაც სხვაგან გადასახლდნენო. ხმ. ი. მ. დოლუხანოვი, ბაბოვი, კაჩარიანცი, თავ. მიქელაძე, თავ. ბებუთოვი და სხვანი ამტკიცებდნენ, რომ როგორც მცხოვრებთა, ისე ქალაქისათვისაც დიდად სასარგებლო იქნება მიწების დათმობაო.

კენჭის ყრის შემდეგ აღმოჩნდა, რომ 26 კაცი თანახმა იყო ადგილების გამოსყიდვისა, ხოლო 19 კაცი წინააღმდეგი. რადგან საქალაქო დებულებით ამ საქმის გადასაწყვეტად საჭიროა დამსწრე ხმოსანთა 2/3 თანხმობა, ამიტომ საქმე ისევ გადაუწყვეტელი დარჩა და კენჭს მეორედ უყრიან შემდეგ კრებაზე.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ ქალაქის სასკოლო კომისიამ ხოლერის მოახლოვების შიშით საჭიროდ სცნო დაუჩქაროს ქალაქის პირველ დაწყებით სკოლებში მოწაფეთა დათხოვნას. მოწაფეები უეგზამენოდ გადაყვანილ იქმნებიან შემდეგ კლასებში წლიურ ნიშნების მიხედვით.

◆ 1 მაისმა ქუთაისში ძლიერ წყნარად ჩაიარა; მას არ ედო ჩვეულებრივ სადღესასწაულო ფერი. სავაჭროები, როგორც საზოგადოდ ყოველ კვირას, დაკეტილი იყო. სოფლებიდან ხალხი ნაკლებად ჩამოვიდა. ყველაფერი სანოვაგე მამა-სისხლად იყიდებოდა. მეეტლეებს დღეს ნება მიეცათ ბირჟაზე გამოსვლისა.

◆ 1 მაისს საურთიერთო ნდობის საზოგადოების დარბაზში მოხდა ამ საზოგადოების წევრთა კრება, რომელმაც დახურულის კენჭის ყრით, 103 ხმის უმეტესობით, წინააღმდეგ 46 ხმისა, სისხლის სამართალში მისცა საზოგადოების ძველი გამგეობა და საბჭოს და სარევიზიო კომისიის წევრები. გამგეობის ახალმა თავმჯდომარემ ს. ნ. ლორთქიფანიძემ, რომელიც უკმაყოფილო დარჩა საზოგადოების ასეთ განაჩენისა, უარი განაცხადა თავმჯდომარეობაზე. თავი დაანებეს სამსახურს აგრეთვე საბჭოს წევრებმა ი. გ. ანჯაფარიძემ, კ. რ. გოცირიძემ და მ. ე. დარახველიძემ.

◆ 29 აპრილს დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში ვიცე-გუბერნატორის კალაჩოვის თავმჯდომარეობით მოხდა ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება, რომელიც გაგრძელდა არა უმეტეს 10 წამისა. კრებას უნდა აერჩია საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგი. კრებამ სნეგირიოვის ნაცვლად აარჩია ბ-ნი ვუჩინო. საზოგადოების თავმჯდომარედ (პრეზიდენტად) კი, ნაცვლად ბ-ნ სმაგინისა, იქნება ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი თავ. ჯაბაკურორბელიანი.

◆ 30 აპრილს, როგორც იქნა, შესდგა ქალაქის საბჭოს მიერ არჩეულ კომისიის სხდომა, რომელსაც მინდობილი ჰქონდა შეემუშავებინა საკითხი კერძოდ ადგილობრივ საჭიროებათა და საზოგადოდ მთლად რუსეთის სახელმწიფოს წესწყობილების გასაუმჯობესებელ საშუალებათა გამოძებნის შესახებ. ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ კომისიამ ერთხმად დადგინა: მოვითხოვოთ კავკასიის მხრისათვის (ოლქობრივ) ტერიტორიალურ-ნაციონალურს ნიადაგზე დამყარებული ავტონომია. ამის შესახებ მოხსენების დაწერა მიენდო გამგეობის წევრს გ. ი. გველესიანს.

◆ ქუთაისის გუბერნატორის მოადგილემ დაამტკიცა საბჭოს დადგენილება შესახებ იმასა,

---

რედ ორასი, გახდა ამისა სამსახურიდანაც დათხოვნილი იქნება. თუ ვინიცობაა ზედამხედველმა პატიმარი-კი წარადგინა სასამართლოში, მაგრამ დაპატიმრების მიზეზი არ აუხსნა, მსაჯულს უფლება აქვს იმ საათშივე დაატუსაღოს ზედამხედველი და კანონიერი ბრძანების აუსრულებლობისთვის სამართალში მისცეს. საქმის განხილვის, გამოკვლევის შემდეგ მოსამართლე ან დაუყონებლივ ანთავისუფლებს პატიმარს, რასაკვირველია, თუ დამტკიცდა დასჯილის უკანონოდ დატუსაღება, ან თავდებით გაუშვებს, ან ისევ საპატიმროში დააბრუნებს.

რაღა თქმა უნდა, რომ ვინც Habeas corpus-ს [illegible]ობს, მოვალეა თხოვნაშივე მოიყვანოს [illegible] პატიმრის უსა- [illegible] კურ დამნაშავეთ (მოდადეთ), [illegible] რების ბრძანებაში ნათლად და გარკვეულად უნდა იყოს მათი დანაშაული აღნიშნული. გარდა ამისა ამ დამნაშავეთ უფლება აქვთ სასამართლოს საქმის დაჩქარება სთხოვონ. თუ მახლობელ სესიაში არ გაირჩა ასეთი საქმე, სასამართლო მოვალეა დამნაშავე ვისიმე თავდებით განთავისუფლოს, იმ პირობით-კი, რომ მეორე სესიაზედ საქმის გარჩევის დროს უსათუოდ გამოცხადდეს. თუ ვინიცობაა არც მეორე სესიაში განიხილეს საქმე, დამნაშავე სრულიად თავისუფალია კანონის დევნისაგან.

როგორც ვხედავთ, საქმის გარჩევამდის დატუსაღება ინგლისშიაც იციან, მაგრამ ეს დატუსაღება ხანგრძლივი არასოდეს არ არის ხოლმე. ერთის სიტყვით, პიროვნება ინგლისში სრული თავისუფალია ყოველ შემთხვევაში და მდგომარეობაში მას იცავს კანონი და ქვეყნის ჩვეულება (custom; use; wont-ის, რაც მოდის; ის, რაც მიღებულია; ჩვეულება და სხ.). მაგრამ არსებობს ერთი გარემოება, რომელსაც დიდი დაკვირვება სჭირია, თორემ ზოგს შეიძლება პიროვნების თავისუფლება და მისი თავისუფალი განვითარება უზრუნველ ყოფილი არ ეგონოს ინგლისში. საქმე იმაშია, რომ მთავრობას ორთავე პალატის თანხმობით შეუძლიან არეულობისა და აჯანყების დროს Habeas corpus act ერთის წლით შეაჩეროს, თუ მეტი ხნით დასჭირდათ მისი შეჩერება, ახალი კანონი უნდა გამოსცენ ამის შესახებ. 1818 წლიდან (1817 წ. იქნა შეჩერებული. Habeas corpus) 85 წლის განმავლობაში დიდ ბრიტანიაში ერთხელაც არ შეუჩერებიათ ეს კანონი. 1679 წ. 1749 წლამდის სულ ცხრაჯერ იყო შეჩერებული. ამის შემდეგ ნახევარი საუკუნის განმავლობაში არც ერთხელ აღარ მიუმართავთ ამ ზომისთვის, შეაჩერეს მხოლოდ 1794 წ. 1798, 1799 და 1800 წ.

Habeas corpus act-ის შეჩერება ყველა კანონების გაუქმებას და ძალმომრეობის გაბატონებას როდი ნიშნავს. ამ ზომით მთავრობა მხოლოდ იმას მიაღწევს ხოლმე, რომ პოლიტიკურ დამნაშავეთა საქმეების განხილვას აჭიანურებს და აძნელებს. თითონ დაპატიმრება-დატუსაღება კი ამ დროსაც არ შეიძლება უკანონო საფუ- [illegible] მარიტული. გათავდება თუ [illegible] მართალში მისცეს ყველა [illegible] თავისუფლება შებღალა და შეზღუდა კანონის შეჩერების დროს მაგრამ სამართლის თავიდან ასაცდენად მთავრობა ხანაც Habeas corpus act-ის ძალაში შესვლას გამოაქვეყნებდეს, საყოველთაო ამნისტიას გამოაცხადებს ხოლმე, რითიც კანონიერ სასჯელს თავიდან იცდენს, მაგრამ პარლამენტში-კი მთავრობის უკანონო ქცევა საკამათო საგნათ გადიქცევა ხოლმე და ასე ამ გვარად ზნეობრივი სასჯელი ვინც არ ასცდებათ ხოლმე. ამ სასჯელის გარდა, საყოველთაო არჩევნების დროს ინგლისელ მოქალაქეს მშვენიერი შემთხვევა ეძლევა თავწასულ სამინისტროს გადაჭარბებული მოქმედება არ აპატიოს და სამაგიეროც გადაუხადოს.

ამას დაუმატეთ სიტყვის და პრესის სრული თავისუფლება (ინგლისელმა ორასი წელიწადი მეტია არ იცის რა არის ცენზურა) და ნათლად დაინახავთ, რომ ინგლისელ მოქალაქეს დაუსჯელად ვერავინ შეუზღუდავს თავისუფლებას და მის პიროვნებას ვერ შებღალავს. თავისუფლების სიყვარული ინგლისელის თანდაყოლილი თვისებაა. ეს კარგად იცის თვით მთავრობამაც და ინგლისელის ამ დაუძლეველ განძს, რასაკვირველია, დიდის სიფაქიზით და სიფრთხილით ეპყრობა.

ინგლისელ მოქალაქეს რომ არავინ შეუზღუდავს პიროვნებას და თავისუფლებას ვერავინ მოუსპობს, ამის თავდები და გარანტია, სხვათა შორის, ერილობების (მიტინგების) თავისუფლებაცაა. სადაც გინდა და როგორც გინდა, ისე სწერე და ილაპარაკე, მხოლოდ კანონს კი ნუ დაარღვევო—ამბობს ინგლისის კონსტიტუციის ყოველი სტრიქონი და ყოველი სიტყვა.

მაგრამ ამ კანონის გაბატონება იმას კი არ ნიშნავს, რომ იგი მოქალაქის ყოველ სურვილს და მის განხორციელებას ეწინააღმდეგებოდეს. ყოველ კანონს საფუძვლად სამართლე, სამართლიანობა და ხალხის ნამდვილი საჭიროება უდევს ინგლისში და ამასთანა თუ არ არის კანონი, ის ვერასოდეს ვერ იხილავს ქვეყანას და ძალას ვერასოდეს ვერ მიიპოვებს, მით უმეტეს, რომ ამ კანონის შემქმნელ-დამბადებელი თვით ხალხია.

საჯაროთ შეკრების უფლება ინგლისელის [illegible] უფლებას შეადგენს და ამ უფლებას [illegible]ა ძალას არ შეუძლიან. არც ერთი [illegible] კანონს არ ეწინააღმდეგება, უკა- [illegible] გინდა მისი უკანონო[illegible] მოაცხადონ. ერილობი[illegible] ბა მხოლოდ პარლამენტს შეუძლია, პარლამენტის მოთხოვნილება ხომ იგივე კანონია და მთელი ერის თუ არა, უმეტესობის სურვილზედ დამყარებული, კანონიერი მოთხოვნილება იქმნება. სახელმწიფო მხოლოდ დანაშაულობას, ბოროტმოქმედებას სდევნის და ამიტომ რა ხასიათიც უნდა ჰქონდეს ერილობას და სადაც უნდა სწარმოებდეს იგი—სახლსა, ქუჩასა, ბაღსა თუ მოედანზედ, გინდ შეიარაღებულ ხალხსაც რომ მოეყაროს თავი ამ ერილობის აღკრძალვა პარლამენტის მეტს არავის ძალუძს. მართალია, მთავრობას უფლება აქვს სასტიკ ზომებსაც მიმართოს (იარაღსაც კი) თუ ვინიცობაა ერილობა ვისიმე ხელშეუხებლობას და საკუთრებას არღვევს, მაგრამ მთავრობა ამას მხოლოდ მაშინ სჩადის როცა საქმეს საქმე აქცევს ერილობა და როცა ნამდვილი ბოროტმოქმედება ყველასათვის ცხადად იჩენს ხოლმე თავსა. ერთის სიტყვით სასტიკ ზომებს ინგლისის მთავრობა post factum მიმართავს ხოლმე და არა ad factum.

ამ გვარ შემთხვევაში ორთავე მხარე ერთნაირად აგებს კანონის წინაშე პასუხს. მთავრობასაც და ერილობაში მონაწილეთაც უკანონო ქცევისთვის თანასწორი და ერთი და იგივე სასჯელი ელით—სასამართლო ერთნაირად სჯის იმასაც, ვინც უკანონოდ ეწინააღმდეგება კრებას ან ერილობას, ვინც გინდა იყვეს მოწინააღმდეგე—მინისტრი, პოლიციელი, აფიცერი თუ სალდათი და იმასაც, ვინც მთავრობის კანონიერ მოთხოვნილებას ეწინააღმდეგებოდა, თუ კი თავის დასაცველად და დასაფარავად არ მიმართა ძალას.

ერილობების თავისუფლება ინგლისელისთვის ისეთივე ბუნებრივი ეჩვენებაა, როგორც ჩვენთვის ოთახის ერთი კუთხიდან მეორეში გადასვლა.

ჩვენ არ შევეხებით ინგლისელთა დანარჩენ უფლებებს, ისეთებს, როგორც, მაგალითად, კავშირებისა და წრეების დაარსებაა, პეტიციების და მიმოსვლის თავისუფლებაა და სხ., რადგან ყველა ეს ზევით აღნიშნულ უფლებების შემდეგ თავისუფლად შეგვიძლიან თავის თავად ვიგულისხმოთ.

ი. პ—ვი

წითელი სიცილი

ან. ჩეხოვის სახსოვრად

[illegible] ნაპოვნ [illegible]ნაწერიდან.

[illegible]

გაკოცე მის გაფითრ[illegible] რომელიც აღარას დროს არ აწყვა და[illegible]ლად—არავინ არ გააკვირვა ამ ჩემმა საქციელმა. მხოლოდ მისმა უმცროსმა დამ გამიღიმა მე თვალებით და ისე მეარშიყებოდა, თითქოს იმასი საქმრო გეგონა, რომელიც ყველაზედ მეტად უყვარდა მთელ ქვეყანაზედ. ისე კარგად მექცეოდა, რომ კინაღამ გავუმხილე მას ჩემი ბნელ და ცარიელ ოთახის ამბავი, სადაც მე ისე ცუდად ვგრძნობ თავს, ვით... და მოახერხა ისე, რომ ჩვენ დავრჩით მარტოკანი.

— როგორი გაფითრებული ხართ, თვალებიც ჩაგცვივნიათ!—სთქვა მან ალერსით. ავად ხართ? გენანებათ თქვენ ძმა?

— მე მენანება ყველანი. მე ცოტა უქეიფოდ ვარ.

— მე ვიცი, რატომ აკოცეთ მას ხელზედ. ისინი ვერ მიხვდნენ ამას. იმიტომ, რომ ის ჭკუაზედ შეშლილია, არა?

— იმიტომ რომ ის ჭკუაზედ შეშლილია, დიახ.

ჩაფიქრდა და დაემსგავსა ძმას, მხოლოდ ეს იყო ძლიერ ახალგაზრდა.

— მე კი,—იგი შედგა და გაწითლდა, მაგრამ თვალები კი არ დახარა:—მე კი ნება მიბოძეთ ვაკოცო თქვენს ხელს.

დავდექი მის წინ მუხლებზედ და ვსთქვი:

— დამლოცეთ!

ის ოდნავ გაფითრდა, დაიხია უკან და წაიჩურჩულა.

— მე არა მჯერა.

— არც მე.

ერთის წამით მისი ხელები შეეხო ჩემს თავს და ეს წამი გავიდა.

— შენ იცი,—სთქვა მან,—მე მივდივარ იქ.

— წადი, მაგრამ შენ ვერ გაუძლებ.

— არ ვიცი, მაგრამ იმათ უნდათ, როგორც შენ, როგორც ძმას. ისინი დამნაშავენი არ არიან. შენ გახსოვს?

— კი. შენა?

— მახსოვები. მშვიდობით.

— მშვიდობით საუკუნოდ.

დავმშვიდდი და მომეშო გულზედ, თითქო უკვე გამოვცადე რაც უფრო საშინელი იყო, რაც იყო სიკვდილსა და უგუნურებაში. გუშინ პირველად წყნარად და უშიშრად შევედი ჩემს სახლში. გავაღე ძმის სამუშაო ოთახი და დიდ[illegible] მის სტოლთან. როდესაც დამე[illegible] [illegible] ჭრიალი [illegible] და გავიფიქრე [illegible]

— იმუშავე, ძმავ, იმუშავე! [illegible] ჭრედ არ გამშრალა, იგი ამოვლებულია ცოცხალ ადამიანის სისხლში. დეე ეჩვენებოდეს შენი ფურცლები ცარიელებათ, დაუწერავათ—თავის ბოროტ ცარიელობით მეტს ამბობენ ომზედ და გონებაზედ, ვიდრე ყველაფერი დაწერილი უჭკვიანეს კაცთაგან. იმუშავე, ძმავ, იმუშავე!

— ...დღეს დილით წავიკითხე, რომ ბრძოლა ისევა გრძელდება; კვლავ მაპყრობს შფოთვა და ვგრძნობ თითქოს ჩემს ტვინს ხელ-ახლა დაუწყეს ჩხვლეტა. იგი მოდის, იგი ახლოს არის—აა მოადგა ამ ცარიელ და ნათელ ოთახებს. გახსოვდეს, გახსოვდეს ჩემო საწყალო თავო, ჩემო მშვენიერო ქალწულო: ვცდები ჭკუაზედ. ოცდა ათი ათასი დახოცილი, ოცდა ათი ათასი დახოცილი...

ი. ხარსელი

(შემდეგი იქნება)

რომ ქალაქის გამგეობას ნება მიეცეს მიმდინარე ხარჯების დასაფარავად აიღოს სესხად 10,000 მანეთი.

◆ ეს მეორე დღეა, გუბერნატორის მოადგილის განკარგულებით ქალაქის ერთად-ერთი ბაღი—ბულვარი—დაკეტილია, რის გამო საზოგადოება ძლიერ შევიწროებულია. ქალაქის მოურავმა სთხოვა გუბერნატორის მოადგილეს, რომ მოეხდინა განკარგულება კარების გასაღებად, მაგრამ უარი მიიღო.

რუსეთის ქრონიკა

ახალი სესხი. სარწმუნო წყაროებიდან შეუტყვია გაზეთ „რუს"-ს, რომ რუსეთის საფინანსო უწყებამ 200 მილიონი სესხი აიღო ბერლინელ ბანკირებიდან ხუთ პროცენტად; გარდა საკომისიოსა აიღებენ 2 პროცენტს 9 თვეში. როგორც იტყობინებიან, ეს ფული უნდა გერმანიის მრეწველებსავე მისცენ სამხედრო და საზღვაო უწყების შემონაკვეთ საქმეების გაკეთებისათვის.

სენატორი საბლერი, სინოდის ობერ-პროკურორის ამხანაგი, ამ მოკლე ხანში სამსახურს თავს ანებებსო, იტყობინება „ბ. ვ"-ი. საბლერის სამსახურიდან გადადგომას კავშირი ჰქონია იმ გარამოებასთან, რომ კ. პ. პობედონოსცევი სულ სხვა შეხედულებისაა საეკლესიო რეფორმის შესახებ.

ებრაელების დაწიოკება ჟიტომირსა და მელიტოპოლში. 1. 27 აპრილს წესიერების აღდგენა მიენდო სამხედრო მთავრობას. 16 მოკლულია, 100 დაჭრილი. 2. 27 აპრილს დივიზიის უფროსმა ენერგიული ღონისძიებანი მიიღო, მაგრამ ცალკ-ცალკე თავ-დასხმა მაინც ხშირია. დაწიოკება შემუშავებულ გეგმის თანახმად ხდებოდა. („რ. ვ.").

მელიტოპოლში მოკლულია 75, მეტ წილად რუსები; მოკლულებ შორის ორი ჯარის კაცია. ჯარის კაცებს აივნებიდან ესროდნენ ხელის ყუმბარებს; ჯარის კაცები ერთიანის სროლით აძლევდნენ პასუხს. ბრბო ცუდს დღეს აყენებდა იმ სახლებს, საიდანაც ყუმბარებს ისროდნენ: ანგრევდნენ და ცეცხლს უკიდებდნენ; ქუჩებზედ დარბოდნენ ნახევრად გატიტვლებული შიშისაგან გაგიჟებული ქალები და გაჰკიოდნენ—გვიშველეთ, დაგვეხმარეთო. მოკლულებ შორის ბევრია სრულიად მშვიდობიანი მცხოვრები, ბევრია აგრეთვე მოკლული ბავშვები, როგორც რუსებისა, ისე ებრაელებისაც. („ს. ო".).

„ბირჟ. ვედ."-ში შემდეგი ცნობებია ამ დაწიოკებაზე: დილონებით ლაპარაკობდნენ, რომ ებრაელების დაწიოკება უთუოდ მოხდებაო. ისპრავნიკი ხედავდა ქალაქის უმწეო მდგომარეობას და ამიტომ ქალაქის გამგეობასთან ერთად სთხოვა გუბერნატორს —ერთი რაზმი ჯარის კაცები გამოგზავნეთ, მცხოვრებნი რომ დავიცვათ ხულიგანებისაგანო. გარდა ამისა ხმოსნებისა და მოქალაქეთა კერძო თათბირზე დაადგინეს—თვითონაც დავიცვათ ჩვენი თავიო, მაგრამ იარაღს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მივმართოთო. მეორე დღეს თავის დაცვის საქმე უკვე მოწყობილი იყო. გუბერნატორმა ჯარი არ გამოგზავნა მელიტოპოლში და ამიტომაც თავის დასაცველად მილიცია კიდევ უფრო გააძლიერეს".

სენატი და კანონის წინააღმდეგ შედგენილი კავშირი. სენატმა იუდეა პერლიკის საქმის გამო 27 აპრილს ახსნა, რომ მავნე კავშირი, რომელიც აღნიშნულია სისხლის სამართლის დებულების 125 და 126 მუხლებში, უკვე გულისხმობს რამდენიმე პირის ნამდვილ შეკავშირებას; გავრცელება ისეთ აზრებისა, რომ ასეთი შეკავშირება საჭიროა, მოლაპარაკება ამ მიზნისათვის, განხილვა კავშირის მოწყობის გეგმისა, ყველა ეს არის მხოლოდ ცდა კავშირის დაარსებისა და არა თვით შეკავშირება; თუნდაც რომ შეიკრიბოს რამდენიმე პირი ერთ ადგილს და მოილაპარაკოს ასეთ მიზნის განხორციელებაზე, მაინც არ იქმნება მავნე კავშირი. ეგევე ითქმის იმ კერძო პირების შესახებაც, რომელნიც ახალ კავშირებს კი არ არდგენენ, არამედ შედიან უკვე შექმნილ კავშირში. მარტო იმისი განცხადება, რომ ვისმე ჰსურს მავნე საზოგადოების წევრად გახდომა, ან განცხადება თანაგრძნობისა ამ საზოგადოების მიზნისა და მოქმედებისათვის, არავის არ აძლევს უფლებას ეს პირი საზოგადოების წევრად ჩასთვალოს; ამისათვის აუცილებელია, რომ ეს პირი მართლა შევიდეს კავშირში და პირდაპირ რაშიმე გამოხატოს, რომ ნამდვილ მონაწილეობას იღებდა კავშირის კრებებსა და მოქმედებაში, შეგნებულად და განზრახ ასრულებდა მინდობილ საქმეს ან ისეთ რასმე ჩადიოდა, რაც კავშირის მიზნის ასრულებას ეხმარებოდა. რომ კავშირში მონაწილეობა დაექვემდებაროს 125 და 126 მუხლს, აუცილებელია 1) შედგენა კავშირისა არსებულ სახელმწიფო წეს-წყობილების ძალმომრეობით შეცვლისათვის, 2) მავნე მიზანი პოლიტიკურ და სოციალურ ხასიათისა და 3) ამ მიზნის შესაფერი მოქმედება.

პრესსა

გაზ. „რუს"-ში მოთავსებული არქიმ. ამბროსის წერილი ყოვ. სამღვდ. დიმიტრის საპასუხოდ, რომლიდან ნათლად სჩანს, რომ ამ უკანასკნელს თავის ხელობად გაუხდია სიმართლის დამახინჯება და ბიწიერ საშუალებას ხმარობს თავის უბიწოების დასამტკიცებლად. სხვათა შორის, იგი ამტკიცებდა, არქიმანდრიტი ამბროსი დასჯილი კი არ არის, ფრიად საამო კაცია თავის უფროსთა თვალშიო. ამ სიმართლეს აქარწყლებს არქ. ამბროსი და უპასუხებს ყოვ. სამ. დიმიტრის:

> კარგად უნდა იცოდეთ, რომ მთელი 2½ წელიწადი ვსცდილობდი ადგილი მეშოვნა საქართველოში, სადაც მეტი სარგებლობა შემეძლო მომეტანა ხალხისათვის. კარგად უნდა იცოდეთ, რომ არა ერთხელ განუცხადებიათ ჩემთვის, სადმე სხვაგან, საექსარხოსოს გარეშე, უნდა მონახო ადგილიო და ბოლოს ჩემი სურვილის წინააღმდეგ გადამიყვანეს ახალ ადგილზე. ამის მიზეზი ის იყო, რომ მე მოხელის თვალით არ ვუყურებდი საქმეს, არ თანავუგრძნობდი იმ სამღვდელო პირთ, რომელნიც ხალხის გარუსებას სცდილობდნენ და ამხედრებდნენ ხალხს ეკლესიისა და სამღვდელოების წინააღმდეგ. ხალხი დარწმუნდა, რომ სამღვდელო პირნი, რომლებიც ებრძოდნენ მკვიდრთა სამშობლო ენას, ვერ გაუძღვებოდნენ ბავშვების აღზრდას. ხალხმა მოითხოვა, ჩამოაშორეთ მღვდლები სკოლებს და სამშობლო ენაზე ასწავლეთ ჩვენ ბავშვებსაო. ხალხის გარუსების მოსურნეთ იმდენად თვალი არ უჭრის, რომ შეიგნონ მათ მიერ არჩეულ საშუალებათა მავნებლობა. იმ ხალხს, რომელსაც ათასი წლის ისტორია აქვს, რასაკვირველია, ძალაც შესწევს იმდენად, რათა დაიცვას თავისი ეროვნული სახე და სამშობლო ენა. გარუსების წადილი ვნების მეტს არაფერს მოუტანს ხალხს. ცუდი ქართველი კარგ რუსად ვერ გადაიქცევა. ყველასა სჯობს ზნეობრივ ნიადაგზე ხალხთა დაახლოვება. რეპრესიული, ხალხის მჩაგვრელი ზომები ყოველთვის არა-სასურველ შედეგს გამოიწვევს ხოლმე. ამგვარ ზომებით საქართველოს ეკლესია უფსკრულის კიდემდის მიიყვანეს. ეს ყველაზე უფრო ცხადად გამომჟღავნდა ყოვლად სამღვდელო დიმიტრის ეპარქიაში, რომელმაც გაჭირვების დროს დასტოვა თავისი სამწყსო და პეტერბურგს გაემგზავრა.

საიდუმლო სტამბა ბაქოში

შარშან, ოქტომბერში, ტფილისის სამოსამართლო პალატამ გაარჩია შემდეგი საქმე. მღვდლის შვილს გაბრიელ ხუნდაძეს (26 წლ.), ქუთაისის მოქალაქეს ივანე არლოვს (25 წლ.) და გლეხს მიხეილ შჩელჩკოვს ჰბრალდებოდათ საიდუმლო საზოგადოების დაარსება სახელწოდებით „ბაქოს კომიტეტი კავკასიის მუშათა სოციალ-დემოკრატიულ კავშირისა". კავშირის მიზანი იყო დღევანდელ სახელმწიფო წეს-წყობილების დამხობა. ბრალდებულთ გამართეს ბაქოში ფარული სტამბა, სადაც ჰბეჭდავდნენ პროკლამაციებს და ავრცელებდნენ ბაქოში.

26 აპრილს სენატმა სააპელაციო წესით გაარჩია ეს საქმე და გამოარკვია შემდეგი გარემოებანი. 1903 წ. 29 დეკემბერს ბაქოს უბნის ზედამხ. დეელი თავ. მიქელაძე ეწვია ადგილობრივ მცხოვრებს კოვალიევს პასპორტის გამოსართმევად. კოვალიოვი შინ არ დაუხვდა და იმისმა ნათესავმა ქალმა უთხრა, ჩვენ სახლში ამას წინად ოთახი დაიქირა ერთმა ახალგაზდა კაცმა, გვარად ცახნაკიძემაო. მიქელაძე შევიდა ამ ახალგაზდა კაცის ოთახში და ვინაობა ჰკითხა პასუხად მიიღო, ზუგდიდის მაზრის სოფ. აკეთის გლეხი ვარო. მიქელაძემ ეჭვი მიიტანა ცახნაკიძეზე, იცოდა, რომ ს. აკეთი გურიაშია და არა ზუგდიდის მაზრაში, ხელ-მეორედ მოვიდა კოვალიოვის სახლში და დაინახა სახლის წინ გაჩერებული ეტლი, რომელშიაც ცახნაკიძე და ხუნდაძე საჩქაროდ რაღაც ნივთებსა სდებდნენ. ხუნდაძეს პირადად იცნობდა მიქელაძე, როგორც პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ მყოფ იურიევის უნივერსიტეტის ყოფილ სტუდენტს. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ცახნაკიძის ნამდვილი გვარი არლოვი ყოფილა. პოლიციამ გაჩხრიკა ეტლი და არლოვის ოთახი და აღმოაჩინა სტამბის სხვა-და-სხვა ნაწილები და მრავალი პროკლამაცია. სხვათა შორის, ერთ პროკლამაციაში მოწოდება იყო ვრცელი თავისუფლების მოსაპოებლად. გაჩხრეკის დროს იპოვეს მრავალი ხელნაწერი, უმთავრესად ხუნდაძის ხელით დაწერილი, მთავრობის საწინააღმდეგო შინაარსისა. შემდეგ აღმოჩნდა. რომ არლოვთან ხშირად დადიოდა ერთი ახალგაზდა კაცი ებრაელის ტიპისა, გვარად შჩელჩკოვი, რომელიც პასუხის გებაში იქნა მიცემული. ტფილისის სამოსამართლო პალატაში საქმის გარჩევის დროს ბრალდებულთ არ იცნეს თავი დამნაშავედ. ხუნდაძემ განაცხადა სასამართლოში, თუმცა რევოლიუციონერი ვარ, მაგრამ ბაქოს კომიტეტთან არაფერი მაქვს საერთო. იმ კომიტეტის ერთმა წევრმა სტამბა გადმომცა და მე მსურდა მესარგებლნა ამ სტამბით, რათა გამევრცელებინა ის აზრი, რომ საჭიროა მუდმივი ბრძოლა მთავრობასთან. ჩემ მოქმედებას დანაშაულობად არ ვსთვლი და თავმჯდომარის კითხვა, დამნაშავედ სცნობ თავს თუ არაო, შეურაცხყოფათ მიმაჩნიაო. ხუნდაძის სიტყვით, არლოვს სტამბის სამუშაოში მონაწილეობა არ მიუღია. შჩელჩკოვმა დაამტკიცა, რომ 1903 წ. დეკემბერში ბაქოში არა ყოფილა. სამოსამართლო პალატამ გაამართლა იგი.

ორი დანარჩენი ბრალდებული დამნაშავედ იცნო და მიუსაჯა: ხუნდაძეს—უფლებათა ჩამორთმევა და გადასახლება და არლოვს—6 თვით დატუსაღება. სენატმა დაამტკიცა ტფილისის პალატის განაჩენი („რუსი", „ტიფ. ლისტ.").

წერილები

თელავი. ამ ისტორიულ დროს, როცა ყველა წოდების, ეროვნების და პროფესიის განურჩევლად არკვევს დღევანდელ და საზოგადო საჭირვარამო საკითხებს, ითხოვს მის საუმჯობესოდ შეცვლას, პატარა სოფელიც-კი დროით სარგებლობს, ხმას იღებს და მხარს უჭერს საერთო მოთხოვნილებას,—ამ დროს თელავი თავის 12 ათას მცხოვრებით და მისი წარმომადგენელნი კი ჯერ არ იკრიბებიან. თუ შეიკრიბებიან, მაშინაც წყალს ნაყვენ მხოლოდ. სწორედ ასე იყო 25 აპრილს. ჯერ საათნახევარი სიის კითხვას მოანდომეს, მერე ნიხრი დაადგინეს, თუმცა თვითონვე გამოაცხადეს, რომ ნიხრს ტყუილად ვადგენთ, ხარისხებად მარტო ქალაქზე ვყოფთ, რადგან ასე ყიდულობენ მხოლოდ მაზრის უფროსი, თანაშემწე, მოსამართლე, ქალაქის თავი და ზოგიერთი მოხელე. მშრომელ ხალხს კი, როგორც უნდათ, ისე ექცევიან. დარჩენილ გადასახადთა სიის წაკითხვის შემდეგ ხმ. იშხანოვმა განაცხადა, როგორც დავთრებიდან სჩანს, ფული მოსულია პოლიციაზე, აქ კი მიღებული არაა, გადასახადი ისევ მემამულეებზე ითვლება, ეს უნდა გამოირკვესო. სიის დამტკიცების და ნიხრის დადგენის შემდეგ არხეინად დაიშალნენ. არც განცხადება არც მოხსენება რაიმე საჭირო საქმეზე. ან რა უნდა ვუქვათ, თვით არაფერ საჭიროებას არა გრძნობენ და სხვა კი... გინდ მეწყერსაც წაუღია. იქნება ეგონოს ვისმე თელავის მცხოვრებნი, განსაკუთრებით მუშა ხალხი არაფერს საჭიროებდესო. რა თქმა უნდა, ასეთი კაცი შემცდარი იქნება.

დიმიტრაშვილი

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"

3 მაისი.

საიგონი, 2 მაისი (ჰავასი), რუსის ესკადრა ხელ ახლა გამოჩნდა ხონ კოესთან და შემდეგ ჩრდილოეთისკენ წავიდა. მას შემდეგ ერთი სამხედრო გემი არ შეუმჩნევიათ. ადმირალი ჟონკიერი იუწყება პეტრანიდან, ყველა ნაპირები დავათვალიერე და ვერსად ვერ ვნახე რუსის გემიო.

ტოკიო, 3 მაისი. ნორვეგიის გემს, რომელიც მეჯიდან მოვიდა 29 აპრილს, გაუგონია წინა დღით დილის 8 საათსა და 11-ს შორის ზარბაზნის ხმა; ის ამ დროს იყო ჩრდილოეთის სიგანის 33 გრ. 45 წ. და აღმოსავლეთის სიგრძის 29 გრ. და 20 წ. სროლა გარკვევით ისმოდა, ჰორიზონტი ჯანღით იყო მოცული. დილის 4 ს. და 32 წ. დაუნახავთ იაპონელების ნაღმოსანი, რომელიც იქითკენ მიდიოდა, საიდანაც ზარბაზნის ხმა მოისმოდა. რამდენიმე დღის წინად კლდეს წააწყდა ფუზანთან და დაიღუპა ძლიერის ქარიშხალისაგან კრეისერად გადაკეთებული გემი „უეკკომარუ". დანამდვილებით იციან, რომ ბალტიის ესკადრას უმავთულო ტელეგრაფის სადგური გაუმართავს საფრანგეთის ტერიტორიაზე და მის საშვალებით მიწერ-მოწერა აქვს პეტერბურგთან საიგონის გზით. გაზეთ „ოკუმინ"-ის აზრით პროგრესისტების რეზოლიუცია საფრანგეთის მიერ ნეიტრალიტეტის დარღვევის შესახებ ნაჩქარევია; ის ჰფიქრობს, რომ არც ინგლისი, არც იაპონია არ სცდილობენ, რომ საფრანგეთის მოქმედება ომის დაწყებას ნიშნავდეს, როგორც ამას პროგრესისტები ამბობენ.

გონკონგი, 3 მაისი. ღამით 12 სამხედრო გემმა გაიარა კუნძულის ახლოს გონკონგთან. ვერ გაიგეს ვერც ვინაობა, ვერც მიმართულება გემებისა, ვინაიდან ბნელოდა. საზღვაო მთავრობა შესაფერისს ზომებს იღებს.

ტოკიო, 3 მაისი. 28 აპრილს პორტ-არტურთან ჩაიძირა 1178 ტონიანი გემი „კიკომარუ", რომელიც ნაღმს წააწყდა. მეზღვაურები ოსაკაში მოიყვანეს.

პარიჟი, 2 მაისი (ჰავასი). რუვიემ სთქვა პალატაში სხდომის დროს: აქ ყველას მშვიდობიანობა სურს; აქ მხოლოდ ისეთი ფრანგები არიან, რომელნიც საფრანგეთის პატივსა და საყოველთაო მშვიდობიანობის დამყარებაზე ზრუნვენო.

კოსტრომა, 3 მაისი. საღამოთი ქალაქის ბულვარში სხვადასხვა სასწავლებლების მოსწავლეებმა მანიფესტაცია მოახდინეს, პროკლამაციები გაფანტეს და გაემართნენ რუსინის ქუჩისაკენ, სადა მათ ხმლებ ამოღებული პოლიციელები დაუხვდნენ. დაშავდა რამდენიმე კაცი. არავინ მოუკლავთ.

დონის როსტოვი, 3 მაისი. ასოთ-ამწყობები ისვენებენ კვირაობით და ორშაბათობით გაზეთები აღარ გამოდის.

ხარკოვი, 3 მაისი. ხარკოვის ახლო სოფელში ცეცხლი გაუჩნდა შენობებს და გადასწვა 450 სახლი. ზარალი დიდია.

ვენა, 3 მაისი ქიმიურ ნივთიერებათა საწყობს ცეცხლი გაუჩნდა შუაგულ ქალაქში, რამაც საფეთქა [illegible]. დაიჭრა 58 კაცი. მეზობელ სახლებში ფანჯრები ჩაილეწა.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

3 მაისი.

პარიჟი. 2 მაისი. ირღვევა ცნობა „ყვითელ წიგნი"-ს ახლო მომავალში გამოსვლის შესახებ; ეს წიგნი შეეხება ნეიტრალიტეტის ინციდენტს და მაროკოს საქმეებს.

საიგონი, 2 მაისი, (საკუთ. კორესპ.). როჟესტვენსკი და ნებოგატოვი შეერთდნენ.

ხარბინი, 2 მაისი. ზღვის ამბები ახლა უფრო აინტერესებს უცხოეთის სამხედრო აგენტებსა და კორესპონდენტებს, რისთვისაც იგინი თავიანთ დაკვირვების ბაზთ პორტის ქალაქებს ირჩევენ. ამბობენ, მანჯურიიდან ტიანძინს მიდის უცხოელების რამდენიმე კორესპონდენტიო.

ტოკიო, 2 მაისი. ამბობენ, ამ უკანასკნელ 20 დღის განმავლობაში რუსების გემებმა 120 ათასი ტონა ნახშირი დახარჯესო; საიდუმლოებითაა მოცული ის, თუ სად იშოვნეს მათ ეს ნახშირი.

გონკონგი, 2 მაისი. სანდაკანიდან მოსულ გერმანიის გემის კაპიტანი იუწყება, ბორნეოს ჩრდილოეთის ნაწილის გუბერნატორს 26 აპრილს ცნობა მოუვიდა, კუნძულ გაიასთან, ლაბუანის ახლო, ღუზაზე დგას 7 ჯავშნოსანიო; არ იციან, ვისი იყო ეს გემები.—თანხმად აქ მიღებულ ცნობებისა ჰფიქრობენ, რომ ბალტიის ესკადრა იმყოფება სენ-ჯონის კუნძულთან 90 მილის მანძილზე, სამხრეთ-დასავლეთით გონკონგიდანო. 1 მაისს, საღამოთი, გონკონგთან შეამჩნიეს 12 სამხედრო გემი, მაგრამ არ იციან ვის ეკუთვნოდა. გემები სწრაფლად მიდიოდნენ სამხრეთ-დასავლეთისკენ. მდგომარეობა საშიშია. ყოველ დღე შეტაკებას მოელიან.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა სამინისტროში შემოვიდა შუამდგომლობა უმაღლეს სამაგალითო მუსიკალურ კურსების გახსნის შესახებ. მასწავლებლებათ იქნებიან შემდეგნი პირნი: რიმსკი-კორსაკოვი, გლაზუნოვი, ლიადოვი, ზილოტტი და ტარტაკოვი.—„სლოვო" იუწყება, უწ. სინოდის პროკურორის თანაშემწე საბლერი სახელმწიფო საბჭოში გადაჰყავთ და მის ადგილზე კი, თუ ხმებს დავუჯერებთ, თ. შირინსკი-შახმატოვი ინიშნებაო.

კანეია, 2 მაისი. მღელვარება კრიტოსზე ძლიერ გადიდდა. კონსულების პროკლამაციებმა ვერაფერი გააწყვეს. აჯანყებულები კანეიას უახლოვდებიან, სადაც ჯარებია თავმოყრილი; ისინი ითხოვენ მეფის შვილის გიორგის სეკრეტრისა და რამდენიმე სხვა მოსამსახურე პირთა დათხოვნას.

ბაქო, 3 მაისი. ნავთის ქარხნებში გათავდა გაფიცვა. გუშინ ცხენის რკინის გზის ვაგონებს სალდათები დაჰყვებოდნენ. სასტუმროში ჯერ კიდევ არ მუშაობენ ხელზე მოსამსახურენი.—კაზმინსკის კომისიამ სრული ნება მისცა ყოველ მსურველს, განაცხადოს, რაც იცის ასე, რომ პასუხს არავინ არ აგებინებს. დღეს გამოვიდა ადგილობრივი გაზეთები. გაფიცვის გაზრებამ და ნავთის დამუშავების შემცირებამ უკანასკნელი 15½ კაპეიკამდე აიყვანა ბაზარზე.

ტვერი, 2 მაისი. პირველმა მაისმა მშვიდობიანად ჩაიარა. ქალაქ გარედ დემონსტრანტების ჯგუფმა ააფრიალა წითელი დროშები და ტვერის მანუფაქტურის ფაბრიკებისაკენ გაემართა. მას მუშები შეხვდნენ, რომელთაც არ გაუშვეს ისინი. მოხდა შეტაკება, რომლის დროს მოჰკლეს ერთი მუშა და რამდენიმე დასჭრეს, მუშებმავე დასჭრეს ერთი დემონსტრანტთაგანი, ნაფიც ვექილის თანაშემწე.

კიევი, 2 მაისი. დილის 10 საათზე, ახალგაზდების ჯგუფი, როგორც ეტყობა მუშების, გავიდა კიევ მეორე-ს სადგურზე, გაემართა ორთქლით მომუშავე სახელოსნოებისკენ და განგაში ატეხა. მუშაობა შესწყდა, მაგრამ ჩქარა რკინის გზის მოსამსახურეებმა და მუშებმა გაჰფანტეს დემონსტრანტები; უკანასკნელთ დროშის ნაპირს მიაშურეს; გაისმა ყვირილი „ავიდეთ, ძმებო!" ამავე დროს გაისმა რევოლვერის ხმა. ჩქარა მოვიდა პოლიცია და გაჰფანტა ყრილობა. გუშინ გაიფიცნენ მებულკეები და პურის მცხობელნი. ბაზარში არც პურია, არც ბულკი.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ბ. ჯაბადარი**

გამოსადეგი ცნობანი

მისვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდამ მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № (20 მარტი სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) სწრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.) 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ., (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4) საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 38 წ. (11 ს. 31 წ.).

ერივან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადღევის 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღ. 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.) 2) საფოსტო № 4 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 9 წ. (11 ს. 7 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) დილის 9 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.) და 3) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 4 ს. (4 ს. 58 წ.); 2) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.); 3) საღამოს 7 ს. 22 ს (8 ს. 20 წ.).

შორაპნამდე: ნაშუადღევის 1 ს. 20 წ. (2 ს. 18 წ.).

სახალხო ბიბლიოთეკები
„წერ-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა"
ტფილისში:
1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში, ღია არის დილით 10—2 საათ.
" " საღამ. 5—7 "
კვირა-უქმე—დილ. 11—1 "
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 131. ღია არის დილით 10—2 საათ.
" " საღამ. 5—9 "
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19. ღია არის დილით 10—2 საათ.
" " საღამ. 5—8 "

განცხადებანი

სამზარეულო
ფასი 1 მან. 50 კაპ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგ. კიოსკში, ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ, ალექსანდროვს ბაღის კუთხეში, ქ. ტფილისში. ვისაც ათის ან მეტის ეგზემპლიარის ყიდვა ჰსურს, მიმართონ ქართველთა ამხ. კანტორას, ვანკის ქუჩაზე, ამხ. სტამბაში. (25—25)

საუკეთესოდ მოწყობილი
ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა
წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობის.
ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.
პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»
კიოსკში
ლორის-მელიქის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

დაბადება და აღზრდა [illegible] ბატონიშვილისა—[illegible]	— 10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—50
ბნელი, მოთხრობა—მელანიასი	— 20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1
II და III ტომი თითო	1 —
ი. ჭავჭავაძის I ტომი	— 70
იგივე II და III ტომი თითო	— 60
იგივე IV ტ. ორ წიგნად	— 80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა	— 10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	— 40
აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო	— 60
რაფ. ერისთავის I ტომი	— 60
საქართველოს წარსული დრო—[illegible]	— 20
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტის	— 55
სიბრძნე ბალავარისა	— 30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	— 10
დვინის დაცემა, პროფ. გ. პეტრიაშვილისა	1 50
რძე, მისივე	1 50
ცეცხლითა და მახვილით, რომანი—გენრიხ სენკევიჩისა	— 80
დასტურ-ლამა	— 20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	— 25
ფიზიოლოგია—ფოსტერის.	— 20
ხენთი რაფფისა, თარგ. სომხურიდან გ. ევანგულოვისა	1 —

პირველი საწყობი
შეშისა
◆ პ. ი. კურცხალიასი ◆
ანდრეევის ქუჩა, დამოკის პირდაპირ. საკუთარის ტყიდან მიღებულია დიდ-ძალი შეშა ყოველგვარ ღირსებისა, რცხილისა, წიფლისა, მუხისა, რთხმელისა და სხვა მუხის დიდი ბოძები. შეშის სახლში მიტანას ფირმა საკუთარ პავოზკებით კისრულობს. შეშა იყიდება საწონითაც და ფუთობითაც. მყიდველს ნება აქვს შეშის ჩაგენი თავის თვალ წინ დაადგმევინოს, რადგანაც მყიდველები ბევრჯელ სტყუვდებიან დადებულ საწყობიდან. მეორე განყოფილება იმყოფება ვერის ხიდის ყურთან. (90—46)
გამგე ნიკოლოზ პავლეს ძე კიკნ